სარჯიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ორშაბათი, 15 ივნისი 1998 №91 (626) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არგენტინა — იაპონია 1:0
იუგოსლავია — ირანი 1:0
იამაიკა — ხორვატია 1:3

არგენტინელმა გაბრიელ ბატისტუტამ (№9) გამარჯვების გოლი გაიტანა — ნანამის (№10) ფეხიდან მიღებული ბურთი კავაგუჩის კარში აუღელვებლად მოათავსა

დღეს სამი მატჩია

ინგლისი — ტუნისი
მარსელი. 16[30]
რუმინეთი — კოლუმბია
ლიონი. 19[30]
გერმანია — აშშ
პარიზი. 23[00]

FRANCE 98

გუშინ ფეხბურთის ესთეტები ხასიათწამხდარნი იქნებოდნენ — ისეთი მატჩები უნდა გამართულიყო, თითო გუნდის თამაში რომ უნდა გვეხილა. მოულოდნელად გაუჭირდა არგენტინას, რომელმაც გაბრიელ ბატისტუტას ერთადერთი, ოსტატური გოლით დაამარცხა იაპონია. გაუჭირდა იუგოსლავიასაც, რომელსაც მეტოქედ იაპონიაზე სუსტი ირანი ჰყავდა. მხოლოდ ხორვატებმა გაილაღეს, თუმცა პირველ ტაიმში ლამის დაბირებული აუსრულა ბალკანელებს, რეგის ცეკვას ვასწავლითო.

ბოლო დროს, არამხოლოდ ჟურნალისტები, საქართველოს ჩემპიონატის ჩაწყობილ მატჩებზე ჩვენი ფეხბურთის მესვეურნიც ალაპარაკდნენ. ფედერაცია, ასეთი ფაქტების არსებობას არც აღიარებს, თორემ, ცხადია, ყველაფერს გუნდებს დააბრალებდა. კლუბების მესვეურები კი სხვაგვარად ფიქრობენ. სადისციპლინო კომიტეტის სასჯელებით ყველაზე მეტად ნაზარალები თბილისის „მერანის“ პრეზიდენტი თვლის, რომ

ფედერაციას ჩემპიონატში თავისი გუნდი ჰყავს

ვინ თავკაცობს იმ გუნდს, რომელიც ჩემპიონატს მართავს?

იხილეთ მეათე გვერდი

ექსპერტის კომენტარი: *ვლადიმერ პანოვი*

დაზოგეთ ძალა, რომ...



— გუშინდელი შედეგები კანონზომიერი იყო. არგენტინამ ერთი სიჩქარით დაიწყო და დაამთავრა იაპონელებთან თამაში. აშკარად იგრძნობოდა, რომ პასარელამ ბიჭებს ძალები დაზოგვინა. სამხრეთამერიკელების თამაშში დიდი პოტენცია დავინახე. ახლავე ვეტყვით — ისინი ჩემპიონატის ფავორიტები არიან. თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ არგენტინელებს მესამეხარისხოვანი გუნდებიდან ყველაზე სუსტთან მოუწია თამაშმა. იაპონიამ ნამეტანი უაზრო გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. ერთადერთი, იაპონელებმა კარგი ფიზიკური მომზადებით დამამახსოვრეს თავი, 90 წუთი არ გაჩერებულან.

იუგოსლავიაზეც იგივეს ვიტყვი. არგენტინელებისა არ იყოს, მათაც ძალები დაზოგეს, მაგრამ ძალიან გაუჭირდათ ირანელთა საკმაოდ ორგანიზებული დაცვისთვის გოლის გატანა. რომ არა ის ჯარიმა, ღმერთმა იცის, საბოლოოდ რა მოხდებოდა, ირანი ხომ რვა კაცით თავს იცავდა, მათი კონტრშეტევები კი სიმწვავეს მოკლებული გახლდათ. საკუთარი კარის მშრალად შენახვაზე ზრუნავდნენ. ირანელებმა მოინდომეს, ტექნიკურ მეტოქეს გასაქანი არ მისცეს.

რაც შეეხება ხორვატია — იამაიკას, ძალიან, ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ ხორვატებს. გაცილებით უკეთესი, ვიდრე გასულ ევროპის ჩემპიონატზე. მათაც ნახევარი ძალით მოიგეს, თუმცა არც მეტოქე ჰყავდათ სუსტი. იამაიკა ჩემთვის აღმოჩნდა, ტექნიკურ-ტაქტიკურადაც სწორ ფეხბურთს თამაშობდნენ. ხორვატების ტემპსაც აჰყვნენ. მოკლედ, ფეხბურთი უსწავლიათ.

ხორვატია კი, ჩემი აზრით, იუგოსლავიაზე უფრო ძლიერი გუნდია, მეტი შემსრულებლებიც ჰყავთ. მარტო პროსინეჩკი რად ღირს. უეჭველია, იუგოსლავია — ხორვატიიდან ერთი მეოთხედფინალამდე მიაღწევს, შეიძლება ნახევარფინალამდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა კარგია ხორვატია იამაიკას რომ სჯობია

მატჩი №13. 14 ივნისი. ლანსი. სტად ფელიქს ბოლერი. 38 058 მაყურებელი

იამაიკა 1:3 ხორვატია

0:1 სტანიჩი (27); 1:1 ჰოლი (45); 1:2 პროსინეჩკი (53); 1:3 შუკერი (69)

როგორ უნდა მოინდომო და რა უნდა გააკეთო საიმისოდ, რომ არ წააგო, დღეს ყველამ ისწავლა. აი, როგორ უნდა გაიმარჯვო, ამის მცოდნენი გუნდების რაოდენობის გაზრდის ფონზე თითოოროლად მოსჩანან.•

REUTERS ლანსიდან

იარნის (17) დარტყმულის შეჩერებას სინკლერი ყველანაირად ცდილობს

ასე განსაჯეთ, იამაიკასაც უსწავლია, როგორ უნდა შეეცადოს, რომ არ წააგოს. სხვა ამბავია, რომ მაინც დამარცხდა, მაგრამ დამარცხდა იმიტომ, რომ როდესაც ბედმა ანგარიშის მეორედ გათანაბრების საშუალება მისცა, მისმა თავდამსხმელმა, ინგლისის პრემიერლიგაში, „დერბიში" მოთამაშე 22 წლის დეონ ბარტონმა თავურით სამიოდ მეტრიდან ვერ შეაგდო ბურთი კარში.

ბარტონმა მარცხენა ფრთიდან რომ მიიღო ბურთი, ხელის შემშლელი არავინ ჰყავდა, მეკარეს კი მისი სწორად დარტყმული, წესითა და რიგით, უნდა გაეშვა, მაგრამ მთელი უბედურება ის გახლდათ, რომ მან სწორად ვერ დაარტყა.

ამ ეპიზოდამდე ძალიან ცოტა ხნით ადრე ხორვატთა გამთამაშებელს რობერტ პროსინეჩკის ჩინებული გოლი გაუვარდა ფეხიდან. გაუვარდაო, იმიტომ ვამბობთ, რომ ალბათ შეტევის მარცხენა ფლანგზე მყოფი პროსინეჩკი, უფრო მაღალ პასს აწვდიდა, ვიდრე კარში არტყამდა, მაგრამ ბურთმა ლამაზი ტრაექტორიით უორენ ბერტის კარში ამოჰყო თავი.

იამაიკა კონტრშეტევას მისდევდა. მართალია, სინამდვილეში ისე გამოვიდა, რომ ძირითადად თავს იცავდა, მაგრამ, ეჭვი არაა, „რეგი ბოიზის" ბრაზილიელ მწვრთნელს რენე სიმოეშს თავისი მოთამაშეებისთვის სწრაფი კონტრიერიშებიც ჰქონდა დავალებული.

იამაიკელებმა სულ ორჯერ-სამჯერ განახორციელეს ის, რასაც შეტევა ჰქვია. ერთხელ ხორვატმა მცველმა გადააგდო თავით ბურთი, რომელიც უკვე კარის ხაზთან იყო მისული, მეორედ გოლი გავიდა, მესამედ კი ზემოთ მოგახსენეთ — ბარტონმა ნაღდლი გასატანი ვერ გაიტანა.

გოლი გავიდაო, ვახსენეთ. დიახ, ბობ მარლის თანამემამულეებმა ერთხელ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. ეს ამბავი პირველი ტაიმის მიწურულს მოხდა, როდესაც ლონდონის „უიმბლდონის" ფეხბურთელმა რობი ერლიმ თავურით მიაღწია მიზანს. აი, ეს კომბინაცია (ისევ მარცხნიდან ჩაწოდებული ბურთისთვის თავის დარტყმა) ნამდვილად შეიცავდა მოულოდნელობის ეფექტს. ის ნამდვილი კონტრშეტევა გახლდათ.

ახლა შეგვიძლია ვიმკითხაოთ, რა მოხდებოდა ბარტონს იამაიკელთა მეორე გოლი რომ გაეტანა და ანგარიში ერთხელაც გაეთანაბრებინა? ცხადია, ამით ხორვატების ჟინი არ დაცხრებოდა, პირიქით, გაორმაგებული სიშმაგით შეეცდებოდნენ, მათი აზრით სუსტ მოწინააღმდეგესთან უკადრისი თავის არიდებას, მაგრამ, ვგონებთ, არც ის იქნება ტყუილი, რომ იამაიკელები ფრესათვის საკუთარ ძალებს ირწმუნებდნენ და გაშმაგებულ ხორვატებს ძალუმად დაუხვდებოდნენ.

ანგარიში მარიო სტანიჩმა გახსნა, იტალიური „პარმას" ერთობ მონდომებულმა ფეხბურთელმა, ხოლო ხორვატთა მესამე გოლი იამაიკის ეროვნული გუნდის კარში დავორ შუკერმა გაიტანა.

როგორი გუნდია ხორვატია? ეს კითხვა უსათუოდ ერთ-ერთი საინტერესოთაგანი იყო და მასზე ჩემპიონატს პასუხი უნდა გაეცა. კითხვა თავისთავად იმიტომ გახლდათ საინტერესო, რომ ჯერ ერთი, ხორვატია ძველი იუგოსლავიის ნაწილი იყო, იუგოსლავიელებს კი ხშირად ძლიერი გუნდი ჰყავდათ. მეორეც, ხორვატთა ნაკრებში თამაშობენ ევროპულ ფეხბურთში სახელგავარდნილი ფეხბურთელები: ბობანი „მილანიდან", „რეალ" და ბარსელონაგამოვლილი პროსინეჩკი, ახლა ბეტისელი, უწინ კი „იუვენტუსში" ნათამაშევი იარნი და სხვა მრავალი... თუნდაც იმავე „რეალის" დავორ შუკერი.

კიდევ, ხორვატთა მიმართ ინტერესი მათმა ბოლოდროინდელმა შედეგებმა აღძრა. ნუ დავივიწყებთ, რომ გუნდი როგორც ევრო 96-ზე, ისევე ახლა, მსოფლიოს პირველობაზე, ფინალურ ეტაპზე მოხვდა.

და აი, ხორვატიაც. მაღალი კლასის ფეხბურთელებისგან დაკომპლექტებული ნაკრები, რომლის დამარცხებაც ნებისმიერ მეტოქეს გაუჭირდება, მაგრამ გაიმარჯვებს თუ არა თავად ამ ნებისმიერთან, საკითხავია. მოკლედ, ხორვატიამ ისეთი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა, რომელიც რომელიმე დიდ მეტოქესთან ან 0:1-ს წააგებს, ან სულაც პენალტებამდე მიიყვანს საქმეს.

რაღა გამოვიდა, ხორვატიასა და იამაიკაზე ერთნაირად ვთქვით, ის გუნდები არიან, რომლებიც ცდილობენ არ წააგონ, მოგებით კი ვერ იგებენო. ბარემ იმასაც გავუსვათ ხაზი, რომ ორივე მსოფლიოს პირველობათა დებიუტანტია.

არა, ბატონებო, ხორვატია იამაიკაზე მაღლა დგას, საგრძნობლად მაღლა. ხორვატია საფეხბურთო ქვეყანაა, იამაიკა — არა, მაგრამ მაინც ორივე არწაგების სპეციალისტია, მხოლოდ ეგაა, ხორვატებმა გაცილებით უკეთ იციან, როგორ არ უნდა წააგონ და ძალიან მაღალი დონის გუნდებს უწევენ და გაუწევენ კიდეც წინააღმდეგობას.

საბოლოოდ, ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა. ძლიერმა სუსტს მოუგო, მაგრამ ძალთა დიდი ხარჯვა მაინც დასჭირდა. უწინ, თუნდაც თხუთმეტი-ოცი წლის წინათ (შეიძლება უფრო ჩვენსკენაც), ძლიერი სუსტს რომ დაიჭერდა, ალალად დაჩაგრავდა ხოლმე. დღეს ძლიერისა და სუსტის ცნება შეიცვალა.

უწინ ძლიერი გუნდის ფეხბურთელს სუსტი გუნდის მოთამაშისთვის ბურთის წასართმევად მოედანზე შეშლილი გამომეტყველებით ათმეტრიანი გასრიალება არ სჭირდებოდა, დღეს არ გასრიალდები და გაჩვენებენ, ვინ ძლიერია და ვინ სუსტი.

მიზეზი: როგორ არ უნდა წააგოს ან, ყოველ შემთხვევაში, როგორ უნდა სცადოს რომ არ წააგოს, ყველამ ისწავლა. ყველა ჯანზეა და ამიტომაც სჭირდება ხორვატიას იამაიკლებთან მოედნის ყოველი გოჯისთვის თავდაუზოგავი ბრძოლა.

მაგრამ, რადგანაც ხორვატიამ იამაიკას მაინც 3:1 მოუგო, ესე იგი, კლასში განსხვავება ჯერ კიდევ არსებობს და ეს ძალიან კარგია.

ილია ბაბუნაშვილი

REUTERS ლანსიდან

რეგისა რა მოგახსენოთ და იამაიკელებმა სტანიჩს ქართული ცეკვა ასწავლეს

მატჩის შემდეგ

რენე სიმოეში, იამაიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „პრინციპში, შედეგით კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინეს, გოლიც გაიტანეს და თავი ნამდვილად არ შეურცხვენიათ. მეორე გოლმა ჩვენზე დამღუპველად იმოქმედა, რადგან იგი მატჩის განახლების შემდეგ ძალიან სწრაფად გავიდა, ეს მძიმე დარტყმა იყო, რამაც საბოლოოდ იმოქმედა კიდეც შედეგზე. მიუხედავად ამისა, ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ თამაში კარგი გამოვიდა. ვფიქრობ, დღეს იამაიკას არ წაუგია, იგი ყოველთვის გამარჯვებულია, რადგან ახლა სწავლობს ფეხბურთის მსოფლიოს დონეზე თამაშს. წინ კიდევ ორი თამაში გვაქვს და ჩემი გუნდის წევრებს მოვუწოდებ — ვითამაშოთ ეს ორი მატჩი როგორც შეგვიძლია, ვისწავლოთ და, რაც მთავარია, კვალიფიკაცია ავიმაღლოთ.

რაც შეეხება ხორვატიის ნაკრებს, ეს არის მშვენივრად ორგანიზებული, მაღალი კლასის გუნდი. ხორვატები ერთი თავით გვჯობდნენ, რისი მიზეზიც პირველ რიგში გამოცდილება და მათი ევროპის წამყვან კლუბებში თამაშია. განსაკუთრებით მათი ნახევარდაცვა მომეწონა, რომელიც ბრწყინვალედ აკონტროლებდა ბურთს, დაცვასაც ეხმარებოდა და სახიფათო კონტრშეტევებსაც ახორციელებდა. საერთოდ გამოვყოფდი ზვონიმირ ბობანს და დავორ შუკერს. მოკლედ, ხორვატებმა კარგად ითამაშეს, გვაჯობეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს, რასაც ვულოცავ კიდეც."

რობი ერლი, იამაიკის ნაკრების თავდამსხმელი: „მიუხედავად წაგებისა, ვფიქრობ, დებიუტანტის კვალობაზე ურიგოდ არ გავრჯილვართ. დარწმუნებული ვარ, ასეთ თამაშს ჩვენგან არავინ მოელოდა. ამ დონის ტურნირზე პირველად ვიმყოფებით, ამიტომაც წაგება კატასტროფა ნამდვილად არ არის. დროთა განმავლობაში იამაიკის ნაკრები კიდევ უფრო დაიხვეწება, მით უმეტეს, რომ მისი წევრები მეტად ნიჭიერი, შრომისმოყვარე ფეხბურთელები არიან."

მიროსლავ ბლაჟევიჩი, ხორვატიის ნაკრების თავკაცი: „ჩვენს გამარჯვებაში მთავარი როლი გამოცდილებამ შეასრულა. იამაიკელთა ასეთი კარგი თამაში პირადად ჩემთვის სიურპრიზი იყო, ასევე დაემართათ ალბათ ფეხბურთელებსაც პირველ ტაიმში და საკმაოდაც დაიბნენ, მაგრამ შესვენებაზე მათ ვუთხარი, რომ სამი ქულის გარეშე უკან დაბრუნებულები არ მენახა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა — მეორე ნახევარში მოედნის ბატონ-პატრონები ხორვატები იყვნენ. საერთოდ, შედეგით უფრო კმაყოფილი ვარ, ვიდრე თამაშის ხარისხით, თუმცა ეს ჩვენი პირველი სამსოფლიოჩემპიონატო მატჩი იყო, რამაც ბიჭებზე იმოქმედა კიდეც. მომავალ შეხვედრამდე ბევრი დრო გვაქვს და მას მაქსიმალურად გამოვიყენებთ, რათა არსებული ნაკლოვანებები აღმოვფხვრათ."

ხორვატია			
	1. ლადიჩი		
20. სიმიჩი	6. ბილიჩი	4. სტიმაჩი	14. სოლდო
7. ასანოვიჩი	8. პროსინეჩკი	10. ბობანი	17. იარნი
	9. შუკერი	13. სტანიჩი	
	22. ჰოლი	18. ბარტონი	
15. გარდნერი	6. სიმპსონი	11. უაიტმორი	16. ერლი
	7. კერჯილი		
5. გუდისონი	17. ლოუი		19. სინკლერი
	1. ბარეტი		იამაიკა

შეცვლა: კერჯილი — 20. პოუელი (70), ერლი — 9. უილიამსი (72), სიმიჩი — 10. ვლაოვიჩი (73), ჰოლი — 10. ბოიდი (82)

გაფრთხილება: ბარტონი, სოლდო, სიმჩი

მთავარი მსაჯი: მ. მ. პერეირა (პორტუგალია)

მატჩის სტენოგრამა

1 წუთი: შუკერმა შორიდან დაარტყა. კარს ააცილა.
5. ერლის ჯარიმა სარეკლამო ფარს მოხვდა.
6. შუკერმა სტანიჩს ჩაუწოდა. იგი ნახტომში ცდილობდა თავით დარტყმას, მაგრამ ბურთს ველარ მიუსწრო.
15. იამაიკელებმა ზედიზედ სამი კუთხური მოაწოდეს. ერთ-ერთის დროს ხორვატებმა ცარიელი კარიდან გამოიტანეს ბურთი.
27. ასანოვიჩის პასით სტიმაჩმა ძელს მოარტყა, გადმოვარდნილი კი სტანიჩმა შეაგდო.
38. შუკერის უძლიერესი დარტყმული ბარეტიმ მოიგერია.
45. ფლანგიდან ჩაწოდებულს ერლი პირველი შეწვდა და თავით ხორვატებს ანგარიში გაუთანაბრა.
48. სტანიჩმა ლამაზად დარტყმული კარს ოდნავ ააცილა.
49. ასანოვიჩმაც მოინდომა შორიდან დარტყმა, ამანაც ამაოდ.
53. მარცხენა ფლანგზე ჯარიმა დაინიშნა. პროსინეჩკიმ ასანოვიჩს დაუგორა, ამან გაუჩერა, პროსინეჩკიმ მცველი მოატყუა და მახვილი კუთხიდან ულამაზესი გოლი გაიტანა.
54. ბარტონმა თავით ახლოდან დაურტყა ლადიჩს, ააცილა.
70. შუკერმა საჯარიმოში მკერდით გააჩერა ბურთი, მცველებმა აცალეს, ამანაც გაისწორა, მერე დაარტყა, გარდენმა დაფარება სცადა, მაგრამ ბურთი ფეხზე მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და ხორვატიაც კიდევ უფრო დაწინაურდა.
77. ვლაოვიჩმა მარჯვნიდან დაბალი ჩააწოდა, ისევ მცველები შეცდნენ, შუკერმა ბურთს ფეხი ააცილა, თუმცა ბობანმა მაინც სცადა გოლის გატანა — მეკარეს მოარტყა.
79. ვლაოვიჩს ბარეტიმ კარგი დარტყმული აუღო.
81. შუკერს მცველმა დაასწრო, თორემ მეოთხე გოლიც გავიდოდა.

და შვა სინიშამ გოლი

მატჩი №11. 14 ივნისი. სენტ ეტიენი. სტად ჟოფრუა გიშარი. 30 000 მაყურებელი

იუგოსლავია 1:0 ირანი

1:0 მიჰაილოვიჩი (73)

იუგოსლავია

1. კრალი

2. მირკოვიჩი 5. ჯუკიჩი 3. ჯოროვიჩი

6. ბრნოვიჩი 16. პეტროვიჩი

11. მიჰაილოვიჩი 7. იუგოვიჩი

10. სტოიკოვიჩი

17. მილოშევიჩი 9. მიატოვიჩი

10. დაეი 11. აზიზი

21. მინავადი 6. ბაგერი 9. ესტილი 17. ზარინშეჰი

14. მოჰამადხანი

20. ფაშაზადეჰი 2. მაჰდავიკია 4. ხაკპური

12. ნაკისა

ირანი

შეცვლა: **ბრნოვიჩი — 20. სტანკოვიჩი (51), მილოშევიჩი — 21. ოგნიენოვიჩი (59), სტოიკოვიჩი — 22. კოვაჩევიჩი (68), ესტილი — 7. მანსურიანი (68)**

გაფრთხილება: **პეტროვიჩი, სტოიკოვიჩი**

მთავარი მსაჯი: **ა. ტ. ნორიეგა (პერუ)**

აგერ უკვე ხუთი შეხვედრაა, იუგოსლავია მსოფლიოს ჩემპიონატზე არ დამარცხებულა — 1990 წელს, მსოფლიოს მე-14 ჩემპიონატზე ჯერ კიდევ ძველმა იუგოსლავიამ პირველივე მატჩი გამანადგურებელი ანგარიშით 1:4 წააგო მსოფლიოს მომავალ ჩემპიონ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთან. მას შემდეგ კი მეოთხედფინალს უწია. იქ ფრედ, 0:0 დასრულებული შეხვედრის შემდეგ პენალტების სერიაში 2:3 დათმო არგენტინასთან და ასე, დამარცხებულმა დატოვა გათამაშება. როგორც შემდგომში აღმოჩნდა, რვა წლით.

იტალიაში ასპარეზობის შემდეგ იუგოსლავიაში ბევრი რამ შეიცვალა, ქვეყანა ჯერ იყო და ლამის დაქუცმაცდა, მოგვიანებით კი მასშტაბებში დაპატარავებული ფერფლიდან აღსდგა. ანალოგიური რამ განიცადა იუგოსლავიელთა ნაკრებმაც — 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში შექმნილი არეულობის გამო ნაკრები ჯერ იყო და ევროპის 1992 წლის ჩემპიონატს ჩამოაშორეს, მერე კი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირშიც არ ათამაშეს. მოგვიანებით ფიფამ იუგოსლავიას სანქციები მოუხსნა და ნაკრების აღსდგა, თანაც როგორ!

1990 წელს იუგოსლავია საკმაოდ კარგი გუნდი გახლდათ. კარგ ფეხბურთსაც თამაშობდა. ერთი სიტყვით, ჭეშმარიტ ქომაგს გულგრილს არ დატოვებდა. გუშინ, სწორედ ამ იმედით ველოდით იუგთა შეხვედრას, რომ კარგ ფეხბურთს ვიხილავდით, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ევროპელთა თავკაც სლობოდან ზანტრაჩს და საერთოდ მთელ იუგოსლავიის ნაკრებს გულშემატკივართათვის არცთუ სასიამოვნო სურპრიზი მოემზადებინა — ნაკრებმა კარგად ნამდვილად ვერ ითამაშა, მეტიც, ირანელთა ძლევა ძალიან გაუჭირდა, თან ჩვეული ლაღი, სასიამოვნო ფეხბურთის ნაცვლად ძალისმიერი თამაში გვიჩვენა.

— ჯგუფის ფავორიტი გერმანიაა, მეორე ადგილს კი რატომღაც ჩვენ გვაკუთვნებენ, არადა, არიელებს არაფრით ჩამოვუვარდებით. ამას მალე ყველა დაინახავს — აღშფოთებას ვერ მალავდა იუგოსლავიელთა ერთ-ერთი ლიდერი დეიან სავიჩევიჩი.

იქნებ, იუგებს მართლაც სწამთ თავიანთი სიძლიერისა, მაგრამ საეჭვოა, მათ გერმანელებთან გამარჯვება მოიპოვონ იმ თამაშით, რითაც ირანის ძლევა შეძლეს. გერმანია, როგორც წესი, შემთხვევით არ მარცხდება. ასეთი რამ ათასში ერთხელ ხდება. ასე რომ, გამორიცხულია, გერმანელებმა თავისზე სუსტ გუნდთან წააგონ. მით უმეტეს, მსოფლიოს ჩემპიონატზე.

საინტერესოა, რა უნდოდათ იუგოსლაველებს? ალბათ, გამარჯვება. მაგრამ სურვილი ერთია და მონდომება სხვა. მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვება ტურნირის უკლებლივ ყველა მონაწილეს, მეტიც, მის გარეთ დარჩენილებსაც სწადიათ, მაგრამ...

პირველ ნახევარში იუგოსლავია შეტევით კი უტევდა, მაგრამ ირანელთა კონტრიერიშები იმდენად სახიფათო იყო, რომ დაცვას მიყურადებული ზანტრაჩის ბიჭები სათანადოდ ვერ მოქმედებდნენ. არც ირანელთა დაცვის შეწყობილი გარჯა უნდა დავივიწყოთ. ერთი ეგ იყო, მათი მეკარე ისე უცნაურად იქცეოდა, გეგონებოდათ, სუბისარეტას დარად საკუთარ კარში შეაგდებდა. საბედნიეროდ, ეჭვი არ გამართლდა, თუმცა ბევრი არაფერი დააკლდა.

შესვენებამდე უპირატესობა გარდამავალი გახლდათ. იყო მომენტები, როცა ირანელები უტევდნენ კრალის კარს, არც იუგოსლაველები იყვნენ ნაკლებნი — ფლანგებიდან ცდილობდნენ ნაკისას კარის დალაშქვრას. არც ერთს არ უმართლებდა. არა, მეკარეები საიმედო თამაშით სულაც არ გამოირჩეოდნენ. პირიქით, ხშირ შემთხვევაში ბურთს ხელშიც ვერ იჭერდნენ. უბრალოდ, თავად თავდამსხმელები ცდებოდნენ — ბურთს უმეტესწილად ქარს ატანდნენ. ხანდახან ზედმეტიც მოსდიოდათ — ერთურთის საჯარიმოში შეჭრილნი ფინტებს გადაჰყვებოდნენ და მთავარი ავიწყდებოდათ.

REUTERS სენტ ეტიენიდან

ირანელი მეჰდი მაჰდავიკია იუგოსლავიელებს საკმაო პრობლემებს უქმნიდა

პირველ ტაიმში ორი საგოლე მომენტი შეიქმნა — ჯერ ნაკისას, მერე კი კრალის კართან. ორივე შემთხვევაში ბურთი კარს მცირედით აცდა — თავდაპირველად იუგოსავიელთა კაპიტანმა, გუნდის ვეტერანმა, რვა წლის წინანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილემ დრაგან სტოიკოვიჩმა ააცილა ჯარიმა, მერე კი იუგთა საჯარიმოში უცაბედად შეჭრილმა ხოდადად აზიზიმ ვერ ივარგა.

მეორე ნახევარი შედარებით კარგი სანახავი გამოდგა. გუნდებმა მეტი ყურადღება დაუთმეს შეტევას და მეკარეებსაც მეტი ჯაფა დაადგათ. უპირატესობა ისევ გარდამავალი გახლდათ. თუმცა შეხვედრის მიწურულს იგი ნელ-ნელა იუგოსლავიელებმა იგდეს ხელთ.

მოგეხსენებათ, იუგოსლავიას საკმაოდ ძლიერი ნახევარდაცვის ხაზი ჰყავს, ამიტომ სულაც არ იყო გასაკვირი, რომ იუგებმა მეორე ტაიმის შუაში ირანელებს მოედნის ცენტრი აართვეს. აქედან გამომდინარე, არც აზიელების საკუთარ კართან იძულებითი დაბანაკება გახლდათ გასაკვირი. ნელ-ნელა ფავორიტთა თავდასხმები უფრო და უფრო სახიფათო ხდებოდა, ეს კი ძილბურანიდან გამოფხიზლებული მიატოვიჩის და შეცვლაზე შესული პერიცა ოგნიენოვიჩის დამსახურებაა. მალე გოლიც გავიდა. ირანელთა მორიგ უხეშობას მათ კარში დანიშნული ჯარიმა მოჰყვა. ამჯერად სტოიკოვიჩმა ცდა სინიშა მიხაილოვიჩს დაანება, მცველმა კი ანგარიში გახსნა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, გადამწყვეტი გოლიც გაიტანა.

ეს იყო და ეს. იუგოსლავიელებს თამაში აღარ გაუმწვავებიათ. ერთი ირანელთა კარის დარაჯი გახლდათ მეტად მონდომებული, რომ გოლი გაეშვა.

მატჩის ბოლო წუთზე ბაგერის გაყაიმების შანსი მიეცა — თანაგუნდელის ჩაკიდებული თავური გააგრძელა. ბურთი კრალმა ხელებში მოიმწყვდია, ოღონდ გაჭირვებით.

მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი შეხვედრაც დასრულდა. D ჯგუფიც ამ მატჩით გაიხსნა. იმედია, ამ ჯგუფში და საერთოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე ასეთი შეხვედრები აღარ იქნება.

ლაშა გოდუაძე

მატჩის შემდეგ

ჯალალ ტალები, ირანის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ჩვენმა ბიჭებმა საკმაოდ კარგად ითამაშეს და შეიძლება ითქვას, რომ მითითებები მაქსიმალურად შეასრულეს, უბრალოდ, არ გაგვიმართლა და მეტოქის მაღალმა კლასმაც თავი იჩინა. ვთვლი, რომ ეს მატჩი ირანული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. რა თქმა უნდა, წაგება ცუდია, თანაც მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში, მაგრამ არა უშავს, წინ ორი მატჩი გვაქვს გერმანიასთან და აშშ-სთან. დარწმუნებული ვარ, ორივეში ძალიან გაგვიჭირდება, თუმცა ფარ-ხმალის დაყრა არ გვჩვევია და უკანდასახევი ყველა გზაც მოჭრილი გვაქვს. აქედან გამომდინარე, ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ, ეს ჩვენი ვალია.

სლობოდან ზანტრაჩი, იუგოსლავიის ნაკრების თავკაცი: საერთოდ, მსოფლიოს ჩემპიონატებზე პირველი მატჩები ყოველთვის მძიმეა, ამიტომაც ბიჭების ძლიერ გაკრიტიკება არ ღირს, თუმცა, შეხვედრით კმაყოფილი ნამდვილად არ ვარ. პირველ ტაიმში ძალიან გაგვიჭირდა, რადგან მეტოქე თითქმის მთელი გუნდით დაცვაში იდგა და შეტევის განვითარების საშუალებას არ გვაძლევდა. რაც შეეხება მატჩის მეორე ნახევარს, აქ თამაში შედარებით გაიხსნა, რამაც პირველ რიგში ჩვენს წისქვილზე დაასხა წყალი. ყველაზე მეტად ნახევარდაცვის უსუსურმა თამაშმა გამაკვირვა, იუგოსლავიის ნაკრების ეს რგოლი მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიმაჩნია, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ნახევარდაცვის და მთლიანად გუნდის უფერულმა თამაშმა ძლიერ გამაოცა. მატჩის მსვლელობისას მივხვდი, რომ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. წინ გერმანიის ნაკრები გველის და ამ თამაშში ჩვენი ძალა აუცილებლად უნდა ვაჩვენოთ.

სლავიშა იოკანოვიჩი, იუგოსლავიის ნაკრების მცველი: ეს ძალიან ძნელი თამაში იყო. ირანელები ერთობ კარგად, უმაღლეს დონეზე იცავდნენ თავს და ამიტომაც გოლის გატანა გაგვიძნელდა. ჩვენ ძალიან ბედნიერები ვართ, რომ სამი ქულა მოვიპოვეთ, რადგან აბსოლუტურად რეალური იყო, მატჩი ფრედ დასრულებულიყო. ასე თუ ისე, სტარტი კარგად ავიღეთ.

დრაგან სტოიკოვიჩი, იუგოსლავიის ნაკრების კაპიტანი: ვეთანხმები სლავიშას, მატჩი მართლაც უძნელესი გამოდგა, რასაც, სიმართლე გითხრათ, ირანელებისგან არ მოველოდი. შეიძლება გულშემატკივრები ჩვენით უკმაყოფილონი იყვნენ, მაგრამ პირველი შეხვედრა ყოველთვის რთული გამოდის. არც მე გამომივიდა თამაში, უფრო მეტი შემიძლია, მაგრამ ირანელთა დაცვამ ამის საშუალება არ მომცა, თანაც მატჩის მიწურულს ფეხი წამომტკივდა. წინ ურთულესი მტჩი გველის გერმანიის ძლიერ ნაკრებთან. დარწმუნებული ვარ, ჯგუფში გამარჯვებულის ვინაობა სწორედ იქ გაირკვევა.

მატჩის სტენოგრამა

15 წუთი. ირანელთა მეკარემ უხეში შეცდომა დაუშვა. ბურთი კუთხურზე გადავიდა. იქიდან მოწოდებულს კი ჯოროვიჩი თავით შეხვდა — ირანელებს ხარიხამ უშველათ.

24. მაჰდავიკია სახიფათოდ ურტყამდა, კრალმა აიღო.

31. სტოიკოვიჩის კუთხურს იოკანოვიჩმა თავი შეაგება, კარს ოდნდავ ააცილა.

35. დაეიმ შორიდან კინაღამ გაიტანა.

38. აზიზის გონივრული პასის შედეგად მინავადი კრალთან თითქმის პირისპირ დარჩა, მაგრამ უჭკუოდ მოიქცა, სამი მეტრიდან ბურთი კარს ააცილა.

39. მოჰამადხანს მეკარემ აჯობა.

44. კრალმა ამჯერად ბაგერის შორიდან დარტყმული გააუვნებელყო.

66. მიხაილოვიჩის ჯარიმას ნაკისა ადგილზე დახვდა.

73. ისევ მიხაილოვიჩის ჯარიმა. იუგებისთვის ყველაფერი კარგად დამთავრდა. მიხაილოვიჩმა მეკარის კუთხეში შეაგდო.

76. იუგოვიჩმა ძალიან შორიდან გაისროლა, მაგრამ ნაკისამ ივარგა.

80. მაჰდავიკიამ რეალური მომენტი ქარს გაატანა. კრალთან მიახლოებულს დრულოვიჩი წამოეწია და „პადკატში“ ბურთი კუთხურზე გადააგდო.

81. საპასუხოდ მიატოვიჩმა დაურტყა უშედეგოდ ნაკისას.

84. დაეის თავური კრალმა გაჭირვებით მოიგერია.

REUTERS სენტ ეტიენიდან

სინიშა მიჰაილოვიჩის ეს დარტყმა ირანელთა ცოცხალ კედელს შემოევლო და ნაკისას კარში შეფრინდა — 1:0

პირველი მოგება უმარადონოდ

მატჩი №12. 14 ივნისი. ტულუზი. სტადიონ მუნისიპალი. 33 400 მაყურებელი

არგენტინა 1:0 იაპონია

1:0 ბატისტუტა (28)

16 წელია, არგენტინის ნაკრები ძნელად თუ ვინმეს წარმოუდგენია უმარადონოდ. მარადონა, ბევრისგან გაღმერთებული, მარადონა, ბევრისგან მოძულებული, და მაინც, საყოველთაო ყურადღების ღირსი. მაგრამ ახლა მარადონას დრო წასულია. უმარადონო არგენტინის ნაკრებმა კი მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი მატჩი მოიგო.

რაც მსოფლიოს ემცნო, მარადონას შარდში ეფედრინი აღმოჩნდაო, მას შემდეგ არგენტინა ფინალურ ტურნირზე ორჯერ დამარცხდა. ჯერ წინა ჩემპიონატის მოულოდნელობამ, ბულგარეთმა მოუგო 2:0 და მერე 3:2 რუმინეთმა, იმ დიდებულ და დრამატულ მატჩში. ასე გაეშურა შინ ალფიო ბასილეს გუნდი, ასე სკანდალურად დაემშვიდობა უდიდეს საფეხბურთო ფორუმს მარადონაც.

დიეგო ნაკრების თეთრ-ცისფერ №10 მაისურსაც მაშინ დაემშვიდობა, რადგან გუნდის ახალი მწვრთნელი დანიელ პასარელა ყველა გრძელთმიანი, საყურიანი, მყნოსავი თუ მჩხირავი ფეხბურთელის მოძულეა და ადამიანურ სისუსტეთ ამ უდიდეს ფეხბურთელსაც არ პატიობს. და აი, თითქმის ოთხი წლის შემდეგ სამხრეთამერიკელთა ახალმა გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად ითამაშა. ითამაშა კი? უფრო იბრძოლა, იჭიდავ-იძიძგილავა, ჩემპიონატის დებიუტანტს ერთი-ორჯერ შეუღრინა, თათიც წაჰკრა და ისე დაამარცხა, ნაღდი არგენტინული სულით გაჯერებული ფეხბურთის ჩვენება არც დასჭირვებია.

არაფერი მომხდარა გუშინ ტულუზის მინდორზე ისეთი, კაცს გეფიქრა მაინც, თუ არ იტყოდი, დიეგოც ასე იზამდა, მანაც ასე იცოდაო.

ცხადია, არც დიეგოს მაისურის მომრგები დანიელ ორტეგაა მარადონას აჩრდილი. თუმცა კი, გუშინ სწორედ ორტეგას აქტიურობამ მოაგებინა არგენტინელებს, რაგინდ ძნელად საღიარებელი უნდა იყოს ეს.

ორტეგამ როგორ მოიგო, როცა ბატისტუტამ გაიტანაო, გაიკვირვებთ. პასუხად ეს მაქვს, იაპონელებს, აქამდე სათვალავში რომ არავის ჰყოლია, სადებიუტო მატჩშივე მსოფლიოს ფეხბურთის გრანდის გაშავება არ ძალუძთ, თორემ გამწარებასთან ბარე ორჯერ იმაზე უფრო ახლოს იყვნენ, ვიდრე კურილიის კუნძულები მოსკოვთან.

საწყისი 15-20 წუთი იაპონიამ უფრო აქტიურად დაიწყო, უფრო აწყობილი გუნდიც ჩანდა და იაპონელობისა რა ვთქვათ, თორემ მოპოვებული უპირატესობა ასე იოლად უნდა დაეთმოთ?

და არგენტინამ ძველი, ძველისძველი ტრადიცია არ დაარღვია. ცუდი სტრატი ბატისტუტას გოლით ყველას დაავიწყა. თუმცა ეს გოლი არგენტინის მონაპოვარზე მეტად იაპონელთა საჩუქარი იყო, საჯარიმოში ვერონის მიერ ორტეგასთვის მიწოდებული ბურთი კარში გასვლამდე ნანამის შეეხო, მიმართულება იცვალა, ბატიგოლს მიუვიდა და აბა, ბატისტუტა რის ბატიგოლი იქნებოდა, ასეთ სიტუაციაში არ გაეტანა.

დიახ, არგენტინას არ ჰყავს შემქმნელი, ორტეგა უფრო დაცვის ამწიოკებელია, ვიდრე მახვილგონივრული პასის ავტორი, მაგრამ სამხრეთამერიკელებს ჰყავთ ბატისტუტა, კაცი გამტანი, უდალატო.

გოლიც „ფიორენტინას“ თავდამსხმელმა კლასიკური სიმშვიდითა და სიზუსტით გაიტანა, ისე, რომ შემთხვევის წყალობით მეკარესთან პირისპირ დარჩენილს ფეხები არ აჰკანკალებია. ეს მაშინ, როცა ორტეგამ არანაკლებ ხელსაყრელ პოზიციაში ბურთი ძლიერ ააცილა კარს.

ბატისტუტა ასეთია, სხვაგვარად ფინალური ეტაპის მეხუთე მატჩში მეხუთე, 62-მატჩიან კარიერაში კი 44-ე გოლს ვერც გაიტანდა.

თუ ასეა, რა შუაშიაო ორტეგა, ისევ იკითხავთ. ორტეგამ ბატისტუტას მოპოვებული შეინარჩუნა. არა, არგენტინელთა გამთამაშებელს უკან არ დაუხევია დაცვის დასახმარებლად, იგი ბურთთან განუშორებლად ვერცხლისწყალივით ფართხალებდა იაპონელთა საჯარიმოს გარშემო და მისი დახმარებაც ეს იყო, აზიელები ბურთს რომ ვერ წიწკნიდნენ, წამდაუწუმ ჯარიმდებოდნენ. სხვა საქმეა, რომ ბატისტუტას და ვერონს საჯარიმო დარტყმა ან არ გამოუვიდათ, ან იოშიკაცუ კავაგაუჩიმ იყოჩაღა. მთავარი ისაა, რომ ორტეგამ იაპონელებს თამაშის მეტი წილი საკუთარ ნახევარზე გაატარებინა.

არგენტინისგან მაინც მეტს ველოდით, თუ მკითხავთ, ჯერაც მეტია მოსალოდნელი. კუნძულელებთან ცოტა კიდეც წაიზარმაცეს, არც დასჭირვებიათ მეტი. არ ჩანდა ძანეტი, არც ერთი-ორი სახიფათო ჩაწოდებაა სიმეონესთვის შესაძლებლობათა მაქსიმუმი. ხუან ვერონიც, ყველგან რომ იყო, ყველა გადმოვარდნილ ბურთს რომ ეუფლებოდა, წინსვლისას სცოდავდა, ვერ ამწყვეტდა თამაშს. მისი საუკეთესო არჩევანი ბურთის სასწრაფოდ ორტეგასთვის მიბარება იყო, იქნებ ეს პასარელას ჩანაფიქრიცაა.

ჰო, არგენტინა აღარაა ისე მრისხანე, როგორც მარადონას ხანაში იყო. მაგრამ მაინც გუნდია, გუნდი, რომელმაც იცის, რა სურს, როგორ ითამაშოს, როგორ ჩაუშალოს მეტოქეს წამოწყებული საქმე და როგორ დაელოდოს, მერე კი გამოიყენოს საკუთარი შანსი.

მეორე ტაიმში შუა თამაშისას უწყინარ სიტუაციაში თითი იღრძო, ლიბერო ნესტორ სენსინიმ. ეტყობა, ამანაც არია არგენტინელთა დაცვა.

იაპონელებს გული დაწყდათ, მოგებაც შეგვეძლოო. მოგების რა გითხრათ და თამაშის მიწურულს კი უნდა გაეთანაბრებინათ. პირველ ტაიმში აქტიურ სომას აკიტას თავური დარტყმისთვის მიმართულება რომ ეცვალა, ფრე ძნელი შესანარჩუნებელი აღარ იქნებოდა. შეცვლაზე შესულ ბრაზილიელყოფილ ვაგნერ ლოპესსაც შეეძლო გატანა, მაგრამ არგენტიგულმა დაცვამ მისი დარტყმული ბურთი ბედად მოიგერია.

არც სერია A-ში ნათამაშევი ჰიდეტოში ნაკატა ყოფილა უქმად, გონივრული პასებით შელებილი თავიც დაგვამახსოვრა, მაგრამ მისგან განსხვავებით, იაპონია უფრო მორბენალი გუნდია, ვიდრე საზრიანი, არც ნაკატას დარი გამოცდილება აქვთ ჯერ ამომავალი მზის ქვეყნის შვილებს.

ვახტანგ ბზიკაძე

მატჩის შემადგ

დანიელ პასარელა, არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ. მოგებსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი მატჩის ჩატარება ნებისმიერ ნაკრებს უჭირს. აქედან გამომდინარე, იაპონელების დიდი ანგარიშით დამარცხებას ბიჭებს არც ვუსახავდი მიზნად. მთავარი სამი ქულის მოპოვება იყო და ჩვენ ეს შევძელით. ალბათ, გახსოვთ, 1990 წელს არგენტინის ნაკრები ყველასთვის მოულოდნელად კამერუნელებთან დამარცხდა. ასეთი რამ ხშირად ხდება ხოლმე და ამიტომ შეხვედრის წინ ვცდილობდი, ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად სათანადოდ განმეწყო. მითლიანობაში გუნდის თამაშით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი არ დავრჩენილვარ. ცალკეულ მომენტებში ბრწყინვალედ გამოვიყურებოდით, მაგრამ იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა გაცილებით უკეთესად უნდა გავრჯილვიყავით. მოედნის დიდ ნაწილს ვაკონტროლებდით და მეტოქე საკუთარ საჯარიმოს მივაჯაჭვეთ, თუმცა გადამწყვეტ სიტუაციაში თავდამსხმელები შეტევის სწორ გაგრძელებას ვერ ახერხებდნენ. პირველ ტაიმში ბურთს სულ ჩვენ ვფლობდით და უდიდესი უპირატესობაც გვქონდა. ამიტომ ვთვლი, რომ შეხვედრამდე სულ მცირე, ორი გოლი მაინც უნდა შეგვეგდო. მეორე ნახევარს რაც შეეხება... იქ უკვე ნათლად გამოიკვეთა ხარვეზები, რომლის გამოსწორებაზეც მომავალ შეხვედრებში უნდა ვიზრუნოთ. განსაკუთრებით ეს ბურთის ფლობისა და გადაცემების სიზუსტეს შეეხება. ფეხბურთელები ზედმეტად ერთაობდნენ ინდივიდუალური ოსტატობის ჩვენებით, რაც საერთო საქმეს ვნებდა. გუნდს ამ მხრივაც ბევრი მუშაობა მოუწევს.

ტაკეში ოკადა, იაპონიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: თავიდანვე ვიცოდით, რომ მეტოქე უკანმოუხედავად შემოგვიტევდა და სწრაფი გოლის გატანას შეეცდებოდა. არგენტინის ნაკრები რომ ჩემს გუნდზე ბევრად ძლიერია, ეს ახალი ამბავი არ არის. იმისი შიში მქონდა, ფეხბურთელები სამხრეთამერიკელთა პრესტიჟსა და გამოცდილებას არ დაბნია. მოხარული ვარ, რომ ბიჭებმა მობილიზება შეძლეს და მეტოქეს არაფერი დაუთმეს. ის კი არა, ჩემი აზრით, მეტად აგრესიულად და პოზიციურად სწორად ვითამაშეთ. გოლის გატანა ვერ შევძელით, არადა, მომენტები გვქონდა. ვფიქრობ, ჯგუფში მთავარი შეხვედრები ჯერ კიდევ წინაა და ამ დამარცხებით ტრაგედიის შექმნა კარგს არაფერს მოგვიტანს. პირიქით, უძლიერეს არგენტინის ნაკრებთან მინიმალური მატჩი ერთგვარად ჩვენს აქტივშიც კი შეიძლება ჩაითვალოს.

დიეგო სიმეონე: 1:0, ვფიქრობ, დასაწყისისთვის ცუდი შედეგი არ არის და გუნდს სრული უფლება აქვს, დღევანდელი თამაშით კმაყოფილი იყოს. იაპონელებს ხომ მთელი მატჩის განმავლობაში ვჯობდით და სახიფათო მომენტებიც მათ კართან გაცილებით მეტი შევქმენით. შეამჩნევდით, ალბათ, რომ შეხვედრა მთლიანად ჩვენი სურვილისამებს წარემართეთ. მეტოქე განსაკუთრებით პირველ ტაიმში დავჯაბნეთ, როდესაც ვალდებულნიც კი ვიყავით, ორი ან სამი ბურთი გაგვეტანა. კარგად ვიცი ჩვენი გუნდის შესაძლებლობები და დარწმუნებული ვარ, თამაში ბევრად უკეთესად შეგვიძლია. ტურნირის მსვლელობისას რიტმში ჩავჯდებით და გაცილებით გააზრებულ ფეხბურთს ვითამაშებთ. ვის, ვის და არგენტინის ნაკრებს ეს ნამდვილად ძალუძს. ჯგუფში არც ერთი მეტოქის არ გვეშინია. პირველი სამი ქულა ჯიბეში გვიდევს და ერთადერთი, რის გაკეთებასაც ვაპირებთ, მშვიდად დასვენება და იამაიკელებთან მომდევნო შეხვედრისთვის კარგად მომზადებაა.

მასაში ნაკაიამა: ჩვენ ღრმად გვწამდა გუნდის შესაძლებლობების და დღევანდელი მატჩის მოგებას ვიმედოვნებდით. თავადაც ნახავდით, თამაშის განმავლობაში რა მარჯვედ ვუტევდით არგენტინელთა კარს. სამწუხაროა, რომ გოლი ვერ გავიტანეთ და დავმარცხდით. გუნდის თამაშით მეტისმეტად კმაყოფილი ვარ. ფაქტობრივად მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთ უპირველეს კანდიდატთან თანაბრად ვითამაშეთ. ეს კი ერთობ ბევრს ნიშნავს. დღეს ერთადერთი შავი ლაქა იაპონიის დაცვა იყო, მაგრამ პირადად მე გული ყველაზე მეტად იმან დამწყვიტა, გოლის გატანა რომ ვერ მოვახერხეთ.

ნაოკი სომა: ამ დამარცხებამ წელში არ უნდა გაგვტეხოს. ქვეყანა ნამდვილად არ დაქცეულა. წინ ორი შეხვედრა გველის და მათი მოგებით ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების შანსი კიდევ გვრჩება.

REUTERS ტულუზიდან

არიელ ორტეგა (№10) იაპონელთა დაცვას ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა

REUTERS ტულუზიდან

იაპონელთა ფორვარდმა ნაკაიამამ (№9) ალმეიდასთან (№5) და ვივასთან ვერაფერი გააწყო

ბურთგადასვლა

1. როა
6. სენსინი
14. ვივასი
2. აიალა
5. ალმეიდა
11. ვერონი
22. ძანეტი
10. ორტეგა
8. სიმეონე
7. ლოპესი
9. ბატისტუტა

იაპონია

18. ჯო
9. ნაკაიამა
8. ნაკატა
3. სომა
10. ნანამი
19. ნაკანიში
6. იამაგუჩი
17. აკიტა
2. ნარაჰაში
4. იჰარა
20. კავაგუჩი

შეცვლა: **კლაუდიო ლოპესი — 18. ბალბო (62), ნაკაიამა — 12. ვაგნერ ლოპესი (67), სენსინი — 3. შამოტი (74), სომა — 22. ჰირანო (85)**

გაფრთხილება: **ოჰარა, ნაკანიში, ჰირანო**

მთავარი მსაჯი: **მ. ვან დერ ენდე (ჰოლანდია)**

მატჩის სტენოგრამა

13 წუთი. ნანამიმ კარგად ჩაუწოდა სომას, მანაც თავურით სცადა რაასთვის გატანა, მაგრამ არაზუსტად მოუვიდა.

21. ნაკატას ჯარიმა კარს ასცდა.

25. ძანეტიმ არგენტინელთა შეტევა წამოიწყო, მარცხნიდან საჯარიმოშიც ჩაანოდა, ბურთს ორტეგა დაეუფლა, მერე კი ლოპესმა კარში დაარტყა თუ პასი გააკეთა, გაუგებარი დარჩა. ბურთი კავაგუჩიმ აიღო.

27. ჯარიმა ჯერ ბასტისტუტამ შეასრულა, ბურთი კედელს მოხვდა, შემდეგ ვერონი ამატებდა, მაგრამ კარში ვერ მოარტყა.

28. იაპონელთა საჯარიმოში არეულობა შეიქნა. ბურთი ნანამის უხერხულად მოხვდა ფეხზე. ბატისტუტას მიუგორდა და კოჯიმასთან ცხვირწინ დარჩენილმა ტექნიკური დარტყმით დაანინაურა არგენტინელები.

37. სიმეონეს ჩაწოდებისას ბატისტუტამ მცველებს დაასწრო, ბურთი კარისკენ თავით გაგზავნა — ძელი, გადმოვარდნილს კლაუდიო ლოპესმა დაამატა, კვლავ მეკარემ აიღო.

69. ჯარიმა ბატისტუტამ დაარტყა, ბურთი კედელში ჩარჩა, თუმცა ორტეგამ იყოჩაღა, მას კი სიმეონემ ხელი შეუშალა, თავად დაარტყა — კავაგუჩიმ მოიგერია, მერე სენსინიც ამატებდა — მეკარე ბურთს ისევ ადგილზე დაუხვდა. ძალიან სახიფათო მომენტი იყო.

71. ბატისტუტამ საჯარიმოს ხაზიდან ააცილა.

80. საჰაერო ბრძოლისას სენსინის ბურთი გაშლილ თითზე უხერხულად მოხვდა, გაუსაძლისმა ტკივილმა მცველს თამაში მიატოვებინა.

83. აკიტა ყველაზე მაღლა ახტა, თავით შორეულ კუთხეშიც დაარტყა, ბურთი კარს ასცდა, მაგრამ სომა რომ ოდნავ სწრაფად გაქცეულიყო, გოლი უეჭველად გავიდოდა.

89. იაპონელებმა თითქმის ასპროცენტიანი მომენტი გააცუდეს.

90. ბატისტუტას კოჯიმამ აჯობა.

90. ორტეგას პენალტის ნიშნულთან ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ საკმაოდ ააცილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი ბრაზილია როდია ამბობს კასპერჩაკი

მატჩი №14. ინგლისი — ტუნისი. მარსელი 16^{30}

სარბიელის არქივიდან

რაც ფეხბურთელობისას ვერ მოახერხა, გლენ ჰოდლი მწვრთნელობისას აპირებს

ინგლისელებს უყვართ საფეხბურთო განსჯანი. ერთ-ერთი ამათგანი სათამაშო პირობებს ეხება. რაც რომ ინგლისი მსოფლიო ჩემპიონატებზე გამოსულა, ერთი შემთხვევის გარდა, ყოველთვის დაუჩივლია, მოედანი არ ვარგოდაო, ან სიცხე იყოო, ან შუადღით გვათამაშესო, ან ბურთი არ ვარგოდაო...

ასე იყო ჯერ კიდევ 1950 წელს, როცა ინგლისის ნაკრები პირველად ჩავიდა მსოფლიო ჩემპიონატზე და ბრაზილიურ ქალაქ ბელუ-ორიზონტეში 0:1 წააგო ამერიკელებთან. ინგლისური პრესა დღესაც მონდომებით აღწერს ბელუ-ორიზონტეს სტადიონ „ინდეპენდენსიას" ოკრობოკრო მოედანს, სადაც, თურმე, ბალახის მაგივრად ჯაგნარი და ბუჩქები ხარობდა. 1986 წელს ინგლისელებმა ბევრი ილაპარაკეს მექსიკურ ქალაქ მონტერეის კლიმატზე, სადაც მათ ფეხბურთელებს სუნთქვა გასჭირვებიათ. 1990 წელს კი, მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის მათთვის გამოყოფილი ქალაქი კალიარი დაიწუნეს, ეს ქალაქი კუნძულ სარდინიაზე ძევს და სარდინია ცხელი და მაღალტენიანი ადგილიაო.

პრინციპში, ეს ყველაფერი მართალიც იყო, მაგრამ ინგლისელებს ყოველთვის აქილიკებენ იმის გამო, რომ გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მზეს, ბალახს, ტენს და ჰაერს. და რა ქნან ამ ინგლისელებმაც, თუ თითქოს მათ ჯინაზე ყოველთვის და ყველგან ცხელა, ან ზღვის სიახლოვე ტენიანობას მატებს ჰაერს?

აი, დღესაც, ინგლისის ნაკრები ტუნისისას ეთამაშება მარსელის „ველოდრომზე". მარსელი კი სამხრეთის ზღვისპირა, ცხელი ქარებისა და ცვალებადი ამინდის ქალაქია და თან ბედი არ გინდა? თამაშიც, თითქოს საგანგებოდ, შუადღისთვისაა დანიშნული. ეს კი ინგლისელთათვის, ყოველთვის ერთგვარი პრობლემაა. „ერთგვარი" არ ნიშნავს გადამწყვეტს, მაგრამ მაინც... ინტრიგაც თვალწინ გვექნება.

ტუნისელთა პოლონელი მწვრთნელი ჰენრიკ კასპერჩაკი ინგლისელთა ნერვებზე თამაშს აპირებს. თავის დროზე, კასპერჩაკი სწორედ პოლონეთის იმ ნაკრების წევრი იყო, ინგლისელებს რომ 1974 წლის ჩემპიონატის საგზური წაართვა. თანაც, ამ კაცს საფრანგეთში თავის გამოჩენის დამატებითი სტიმულიც აქვს: კასპერჩაკმა უკვე გააფორმა კონტრაქტი კორსიკულ კლუბ „ბასტიასთან" და ამ ქვეყანაში სახელის დაგდება მსოფლიო ჩემპიონატზევე სწყურია.

ტუნისელთა გუნდის ეროვნებაშეცვლილი ბრაზილიელი, ჟოზე კლეიტონი ამბობს, რომ მათთვის მთავარია თამაშის საშუალება არ მისცენ ინგლისელებს. „თუ ინგლისმა თავისი თამაშის აწყობა შეძლო, ძალიან გაგვიჭირდება", — თვლის კლეიტონი.

„ჩვენს გუნდს გარკვეული რესურსები გააჩნია", — აცხადებს კასპერჩაკი — „ჩვენს გუნდს გამარჯვებულის ფსიქოლოგია აქვს".

იმ ოთხ წელიწადში, რაც პოლონელი ტუნისის ნაკრებს სარდლობს, გუნდი ორჯერ გავიდა აფრიკის თასის ფინალში და თავის ისტორიაში მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის საგზური.

ესეც არ იყოს და ტუნისელებს ტრიბუნების იმედიცა აქვთ. მარსელის არაბული დიასპორა ხომ ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანია მსოფლიოში. ტუნისელთა ყოველ ვარჯიშს 2 ათასამდე მოსეირე არაბი ესწრებოდა და ხომ ადვილი გამოსაცნობია, რამდენი ასეთი იქნება სტადიონზე?

კასპერჩაკი კი აშკარად პროვოცირების გზას ადგას. ადრესატი, რა თქმა უნდა, ჰოდლია:

„მე არა ვარ დარწმუნებული, რომ ინგლისს კარგი ფეხბურთელები ჰყავს. მათ ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცონ თავიანთი სიკარგე. ინგლისი რომ ბრაზილია არ არის, ამას არანაირი დამტკიცება არ სჭირდება. ინგლისელები აწვდიან და კარგად ურტყამენ თავს. მაგრამ რახან ჰაერში თამაში უყვართ, არ გამოსდით მიწაზე თამაში. ჩვენ მიწაზე ვიქნებით და ჩვენს მცირე შანსს ხელიდან არ გავუშვებთ".

ხომ გესმით?

ამაზე მეტი გამაღიზიანებელი რაღა გინდა?

გლენ ჰოდლის პასუხისმგებლობა კი, რა თქმა უნდა, ბევრად დიდია, ვიდრე კასპერჩაკისა. ამხანაგურ თამაშებში ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა მწვრთნელი კარგ ხასიათზე ვერ დააყენა. ამას დაერთო გაზას ამბავი და ტედი შერინგემის სიმთვრალე. ინგლისელებს ხომ ყოველთვის ჰქონდათ არცთუ მთლად საფეხბურთო პრობლემები.

თანაც, ინგლისურმა მედიამ იმგვარი სახალხო განწყობა შექმნა, რომ ჰოდლის სახელს წამდაუწუმ უკავშირებენ სერ ალფ რამსეის სახელს. ეს კაცი კი დღემდე ერთადერთია, ინგლისს რომ მსოფლიოს ჩემპიონობა მოუტანა. ამ ხმაურში ყველას დაავიწყდა, რომ ჰოდლი — მწვრთნელი პირველადაა ამხელა ტურნირზე. თუმცა, მისი ამბიცია, ჭკუა და პრინციპულობა ცნობილია და ჩავარდნებს ჩვეული კაცი რომ არ არის, ესეც გასათვალისწინებელია. სადღეისოდ, ინგლისელთა შემადგენლობამ, შესაძლოა ერთადერთი ცვლილება შემოგვთავაზოს. ჰოდლისავე განცხადებით, ტუნისელთა წინააღმდეგ ტედი შერინგემის ნაცვლად გუნდის კაპიტან ალან შირერს ეგებ ყმაწვილი მაიკლ ოუენი შეუწყვილდეს. ძნელი სათქმელია, ეს საქმე 32 წლის შერინგემის წალოთავებით არის გამოწვეული, თუ სხვა რამით, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ შირერ — შერინგემის წყვილი ყველაზე შედეგიანია ინგლისის სანაკრებო ისტორიაში.

აქ კიდევ ერთი ამბავი:

დიახაც მართალია, რომ მარსელი არაბულ დიასპორათა ერთ-ერთი ლიდერია, მაგრამ სადღეისოდ მარსელში თავს იყრის 10 ათასამდე გიჟმაჟი ინგლისელი ფანი. პირველი შეტაკებები ინგლისელ მებრძოლებს ჯერ კიდევ შაბათ ღამით მოუხდათ ადგილობრივ მოსახლეებთან და პოლიციელებთან. ამის მიზეზი ისა ყოფილა, რომ მავან მძღოლს, მავანი შემთვრალი ფანისთვის მანქანა დაუჯახებია.

თანაც, მარსელისკენ სავალ გზაზე, რიგი დასახლებული პუნქტებიდან ვიტრინების მტვრევის ამბები მოდის. როგორც ამბობენ, ფანები მოემართებიან მარსელისკენ და გზადაგზა კვალსაც ტოვებენ.

ასე რომ, ეგებ კასპერჩაკი კიდეც იქაჩებოდეს, მაგრამ იოლად ვერასგზით გამოძვრება.

გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

ინგლისი: სიმენი, გ. ნევილი, ადამსი, კემპბელი, ანდერტონი, ბეტი, სქოულზი, ლე სო, ოუენი, შირერი.

ტუნისი: ელ-უაიერი, ბადრა, ს. ტრაბლესი, ჰ. ტრაბლესი, კლეიტონი, შუშანე, შიჰი, სუაია, გოდბანე, ბენ სლიმანე, სელიმი.

ირაკლი გამყრელიძე

მატჩი №16. გერმანია — აშშ. პარიზი. 23^{30}

გერმანია მაინც ფავორიტია

სარბიელის არქივიდან

1994 წელს ფოგტსს ხელი მოეცარა. საინტერესოა, რა იქნება ახლა?

ამ ქვეყნებს ნებიმიერი ადამიანი უპირველესად კარგ ცხოვრებასა და ბევრ ფულთან აიგივებს. ასეც არის, აშშ და გერმანია ხომ მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოებად ითვლებიან და მათი ხელმძღვანელობის გუნება-განწყობილებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. თუმცა ეს ცხოვრებაში, ფეხბურთისგან კარგა გვარიანად დაშორებულ სფეროებში ხდება, სადაც ამერიკას მყარად უჭირავს პირველი ადგილი. ფეხბურთში კი...

აშშ-ის ნაკრებმა პირველად მსოფლიოს ჩემპიონატზე 1930 წელს იასპარეზა და საკმაოდ კარგი შედეგიც ჰქონდა. ჩრდილოამერიკელებმა ნახევარფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს და იქ მეტად ძლიერ არგენტინელებთან დამარცხდნენ. აქედან მოყოლებული, ამერიკის ფეხბურთი ღრმა კრიზისმა მოიცვა და ამ ქვეყნის ეროვნული გუნდისთვის მსოფლიოს ელიტის კარი კარგა ხნით დაიხურა. და აი, 1990 წელს, სრულიად ახალგაზრდა და ყველასთვის უცნობი აშშ-ის ნაკრები კვლავ მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. თუმცა იტალიაში მათ ყველა აუტსაიდერად მიიჩნევდა. სწორედ ისეთად, უდიდეს ტურნირზე საუკეთესოთა შორის ასპარეზობითაც უზომოდ ბედნიერი რომ არის და პირველი ეტაპის შემდეგ შინ უქნულოდ ბრუნდება. მართლაც ასე მოხდა. ამერიკელებმა სამივე შეხვედრა წააგეს და ჩემპიონატი ყოველგვარი აურზაურის გარეშე დატოვეს. თუმცა დებიუტანტის კვალობაზე ამ გუნდს სუსტი ნამდვილად არ ეთქმოდა, ხოლო ერიკ ვინალდასა და სხვათა კარგი თამაშის შემხედვარე სპეციალისტებმა მაშინვე დაასკვნეს, რომ ოთხი წლის შემდეგ ამერიკელები უკვე ანგარიშგასაწევი ძალა იქნებოდნენ. იტალიაში ამგვარი აზრის მხარდამჭერებს ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდათ, მაგრამ ამ უკანასკნელების არგუმენტების მცდარობა 1994 წელს თავად აშშ-ის ნაკრებმა დაამტკიცა.

ეს იმიტომ გავიხსენეთ, რომ გვეთქვა, თუ რამხელა პროგრესი განიცადა აშშ-ის ნაკრებმა. მას ხომ ათწლეულების მანძილზე სათვალავშიც კი არავინ აგდებდა, თორემ გერმანიის ნაკრები რომ ამ წყვილის და საერთოდ F ჯგუფის ფავორიტია, ამას დიდი მტკიცება არ უნდა.

აღსანიშნავია, რომ გერმანელები მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ მატჩს ტრადიციულად ცუდად ატარებენ ხოლმე. ერთადერთი გამონაკლისი 1990 წელს იყო, როცა ვარსკვლავებით გადაჭედილმა გუნდმა საწყის შეხვედრაში იუგოსლავიის ნაკრები 4:1 გაანადგურა და მსოფლიოს ჩემპიონობაზე რეალური განაცხადი გააკეთა. გერმანელებმა მართლაც მშვენივრად წარმართეს ის ტურნირი და ფინალამდე ყველა მეტოქეს სასტიკად გაუსწორდნენ. ბოლო შეხვედრაში კი, მართალია, მსაჯის მიერ დანიშნული მეტად საეჭვო პენალტის წყალობით, მაგრამ მაინც, არგენტინა 1:0 დაამარცხეს და მსოფლიოს თასის მფლობელები გახდნენ. ამ შემთხვევის გარდა გერმანელთა სასტარტო შეხვედრებს წარმატებული არასდროს ეთქმოდა. 1982 წელს ისინი ალჟირის ნაკრებთან 1:2 შერცხვნენ. სხვა დროს კი უკეთეს შემთხვევაში მატჩებს ფრედ ასრულებდნენ.

ახლა, როცა ჯგუფში კიდევ ერთი ფავორიტი იუგოსლავიაა, რომელიც ხელსაყრელ მომენტს ელის და შანსს ხელიდან არასგზით არ გაუშვებს, გერმანიის ნაკრებს ამერიკელებთან შეხვედრაში წაფორხილების უფლება ნამდვილად არა აქვს.

— მსოფლიოს ჩემპიონატზე დღემდე ჩატარებულმა მატჩებმა ნათლად დაგვანახა, რომ გუნდების დონე თანდათან თანაბრდება. ისინი, ვინც ჯერ კიდევ გუშინ მაჩანჩალებად ითვლებოდნენ, დღეს ჯგუფების ფავორიტთა შორის არიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოში სუსტი ნაკრებები აღარ არიან — აცხადებს გერმანელთა მთავარი მწვრთნელი ბერტი ფოგტსი.

აქამდე დღევანდელი მეტოქეები ორჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. 1993 წელს ჩიკაგოსა და სან ფრანცისკოში ჩატარებული ამხანაგური მატჩები მსოფლიოს სამგზის ჩემპიონების გამარჯვებით დასრულდა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებთან დადებითი ბალანსი აქვთ, ფოგტსის ქვეშევრდომები მაინც მეტად ღელავენ. კვირას გერმანელები სამხრეთ საფრანგეთიდან, სადაც გუნდის საწვრთნელი ბაზა მდებარეობს, პარიზში გაფრინდნენ და ამ საღამოს აშშ-ის გუნდს შეერკინებიან. ევროპის 1996 წლის ჩემპიონებს ცუდი გუნებაგანწყობის მთავარი მიზეზი კი დედაქალაქის „პარკ დე პრენსი" ყოფილა, რადგან ეს სტადიონი გერმანელთათვის ერთობ ნავსიანია. 1984 წელს გამართულ ევროპის ჩემპიონატზე იმ დროს ევროპის პირველი გუნდის რანგში ჩასული ნაკრები ესპანელებთან 0:1 დამარცხდა და ტურნირს ნაადრევად დაემშვიდობა. 1977 წელს კვლავ მარცხი, ოღონდ ახლა უკვე მასპინძელ ფრანგებთან. სხვათა შორის, იმ შეხვედრაში ეროვნული გუნდის ღირსებას ახლანდელი მთავარი მწვრთნელი ბერტი ფოგტსი და მისი თანაშემწე რაინერ ბონჰოფიც იცავდნენ.

მართალია, „პარკ დე პრენსზე" გერმანელებს ბედი ხშირად არ წყალობდათ, მაგრამ ეს ყველაფერი წარსულში იყო და ბერტი ფოგტსი ყოველნაირად ცდილობს, თავის ფეხბურთელებს ეს უსიამოვნო მოგონება დაავიწყოს. ბოლოს და ბოლოს, მსოფლიოსა და ევროპის არაერთგზის ჩემპიონები ხომ გამოუცდელი ახალგაზრდები არ არიან, მთლიანად სტატისტიკასა და ცრურწმენაზე რომ იყვნენ დამოკიდებული.

როდესაც შაბათს გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ჰკითხეს, ამერიკელებთან მატჩისთვის ბიჭებს როგორ ამზადებთო, მან თავისი დავთარი გადმოიღო, სადაც წუთების მიხედვით იყო დაგეგმილი მომავალი 48 საათის განმავლობაში მოთამაშეთა ცხოვრების განრიგი. „9.30 გაღვიძების დრო" — წაიკითხა ფოგტსმა და განაგრძო: „10.15 თვითმფრინავში ვსხდებით და პარიზში მივფრინავთ. არ დაგავიწყდეთ ყავისფერი ფეხსაცმელებისა და ღია პიჯაკის ჩაცმა."

11.10 — ავფრინდით.

12.30 — ღმერთის წყალობით, უკვე პარიზში ვართ.

16.45 — ყავა, შემდეგ ვარჯიში.

20.00 — სადილი

23.00 — ფიზიოთერაპიის დასასრული.

ხვალ (15 ივნისი):

11.00 — საუზმე.

13.30 — ვარჯიში.

16.15 — ყავა.

როგორც ვხედავთ, ორგანიზაციულ საკითხებსა და წესრიგს გერმანიის ნაკრებში უდიდესი ყურადღება ექცევა.

ერთ-ერთი კორესპონდენტის კითხვაზე, ფინალური თამაშის განრიგი თუ გაქვთო, ფოგტსმა ხუმრობით უპასუხა: „12 ივლისის შეხვედრაზე მეკითხებით? მისი განრიგი ხომ მარჯვენა ჯიბეში მიდევს."

გუშინწინ გერმანელთა მწვრთნელმა მისი გუნდის სასტარტო შემადგენლობისა და სავარაუდო ტაქტიკური მონახაზის შესახებ საუბარი არ ისურვა, რადგან მისი თქმით, ყველაფერი თავად ფეხბურთელებზეა დამოკიდებული და ორშაბათს საბოლოო გადაწყვეტილებას სწორედ მათი ფიზიკური კონდიციების გათვალისწინებით მიიღებს.

ერთადერთი ფეხბურთელი, ვისაც დღეს მოედანზე გასვლა განაღდებული აქვს, მეკარე ანდრიას კეპკეა. მოსალოდნელია, რომ ფოგტსი ლიბეროს პოზიციაზე გელზერკირხენელ ოლაფ ტონს ათამაშებს. აქედან გამომდინარე, ვეტერანი ლოტარ მათეუსი შეხვედრას ალბათ სათადარიგოთა სკამიდან მიადევნებს თვალს. თავდასხმაში ოლივერ ბირჰოფს სავარაუდოდ კაპიტანი იურგენ კლინსმანი შეეწყვილება.

გუშინ ფოგტსს დიდი თავსატეხი გაუჩნდა, რადგან გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელის კრისტიან ციგეს თამაში ძალიან საეჭვო ჩანს. არადა, მას ნაკრების ტაქტიკურ სქემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და მწვრთნელებიც კრისტიანზე დიდ იმედებს ამყარებენ.

— ორშაბათამდე დაცდა მოგვიწევს, რადგან გუნდის ექიმები სწორედ ამ დღეს გვეტყვიან, შეძლებს თუ არა ფეხბურთელი თამაშს. ექიმების მხრიდან უარყოფითი პასუხის შემთხვევაში გუნდის სასტარტო განლაგების მცირეოდენი შეცვლა მოგვიწევს — თქვა მწვრთნელმა.

ციგეს, როგორც წესი, მთელი მარცხენა ფლანგის გაკონტროლება ევალება. მარჯვნივ ამ სამუშაოს იორგ ჰაინრიხი ასრულებს. თუ ციგე დღეს მოედანზე ვერ გავიდა, მაშინ ფოგტსი, სავარაუდოდ, მარცხენა ფლანგზე ჰაინრიხს გადაისვრის, ხოლო მარჯვენაზე შტეფან როიტერს განაწესებს.

ყველაზე მეტი მითქმა-მოთქმა აშშ-ის ნაკრებთან მატჩში გერმანელთა ნახევარდაცვამ გამოიწვია. სპეციალისტთა უმეტესობას მიაჩნია, რომ ფოგტსი უარს არ იტყვის გამოცდილ გამთამაშებელ თომას ჰესლერზე და მას მოედნის ცენტრში ენდი მიოლერის მხარდამხარ განაწესებს.

ამერიკის ნაკრებში ყველა ფეხბურთელი ჯანზეა და ისინი იმედოვნებენ, რომ „პარკ დე პრენსზე" გერმანელთათვის არასასურველი ტრადიცია გაგრძელდება.

— მეტოქესგან განსხვავებით, ჩვენ არანაირი ფსიქოლოგიური პრობლემა არ გვაქვს. ჯგუფში ფავორიტებად ყველა გერმანიისა და იუგოსლავიის ნაკრებებს მიიჩნევს და ასეთი ვითარება ყველაზე მეტად ხელს სწორედ ჩვენ გვაძლევს. გუნდი ძალიან კარგ ფორმაშია და ვფიქრობ, ჯგუფში სამივე მეტოქის დამარცხება ძალუძს — ამერიკის ნაკრების ვეტერანმა ალექსი ლალასმა, ცოტა არ იყოს, გადააჭარბა, მაგრამ რას იზამ, ესეც მოწინააღმდეგის წელში გატეხვის ერთგვარი ხერხია.

გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

გერმანია: კეპკე, ტონი, კოლერი, ვიორნსი, ჰაინრიხი, მიოლერი, ჰესლერი, იერემისი, ციგე, კლინსმანი, ბირჰოფი

აშშ: კელერი, რეჯისი, პოუპი, ბარნსი, დული, რამოსი, რეინა, დერინგი, ჯოუნსი, მეიდუკი, ვინალდა

ირაკლი ხმელიძე

უგუნებონი დაცვაგასვრეტილთა წინააღმდეგ

მატჩი №15. რუმინეთი — კოლუმბია. ლიონი. 19³⁰

ფაუსტინო ასპრილია რუმინელებთან საჩხუბრად ემზადება. მას ოთხი წლის წინანდელი ბოცღმა ახრჩობს.

კოლუმბია ის გუნდია, რომლის გუნებ-განწყობაც ამინდივით იცვლება. მისმა ფეხბურთელებმა ყველა ღონე იხმარეს მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის შავი დღეების დასავიწყებლად, მაგრამ დღეს მაინც გაახსენდებათ გონების ფსკერზე დალექილი ოთხი წლის წინანდელი ამბავი.

საქმე ის გახლავთ, რომ როგორც მაშინ, ახლაც, კოლუმბია რუმინეთს ეთამაშება. მაშინაც პირველი მატჩი იყო და ახლაც პირველი მატჩია.

ოთხი წლის წინ კოლუმბიელები მსოფლიოს პირველობაზე ისე ჩავიდნენ, რომ 34 შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ წაგებული. ო, იმედები დიდი იყო. თავად პელე წინასწარმეტყველებდა სამხრეთ ამერიკის ამ ქვეყნის ტრიუმფს. მაგრამ განა პელეს დაეჯერება? მან სიმუტენკოვზეც თქვა, დიდი ფეხბურთელიაო.

ეჰ, სჯობს პელე პატივით მოვასვენოთ თავის საფეხბურთო ტახტრევანზე და ისა ვთქვათ, რომ აშშ 94-ზე კოლუმბიის ნაკრები რუმინეთმა პირველსავე შეხვედრაში დააცხრო, 3:1 მოუგო. სამიდან ერთი გოლი შორეული ლამაზი დარტყმით გეორგ ჰაჯიმ გაიტანა.

ეს წაგება იყო და კოლუმბიელები გატყდნენ. აშშ-სთან შეხვედრაში საბრალო ანდრეს ესკობარს თავის კარშიც ჩაეჭრა გოლი (რისთვისაც შინ დაბრუნებული მოკლეს) და საბოლოოდ დიდ გულზე ჩასულებმა პირველი ეტაპის დამთავრებისთანავე დატოვეს ჩემპიონატი.

რუმინელები კი მეოთხედფინალამდე მივიდნენ.

დღეს, რუმინეთის ნაკრები ისევ მსოფლიოს პირველობაზეა და ისევ კოლუმბია უნდა დაუპირისპირდეს.

„ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემი გუნდი მეორე ეტაპზე გავა“ — ამბობს მწვრთნელი ანგელ იორდანესკუ — „კოლუმბიის ფეხბურთს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ისევ გავიმარჯვებთ, როგორც 1994 წლის ჩემპიონატზე. ვგონებ ლაღი ფეხბურთი გაჩაღდება.

რა არის ეს? ნუთუ იორდანესკუ მეტოქეს ღირსეულად ვერ აფასებს და აბუჩადაც კი იგდებს?

კოლუმბიელთა თავკაცი ერნან დარიო გომესი აცხადებს, რომ მის გუნდში ყველა კარგი ფეხბურთელია, რომელთაც თავად ისე ამზადებს, რომ ნებისმიერ შეხვედრაში შეძლონ გამარჯვება, მაგრამ...

აი, სწორედ ეს მაგრამ არის საქმე. გომესს კარგად მოეხსენება, რომ თუ მისი მოთამაშეები ხასიათზე არ არიან, თავადაც ვერაფერს გახდება.

„თუ კოლუმბიის ნაკრები კარგ გუნებაზე გაიღვიძებს, ვიცი, პრობლემა არ იქნება“ — დასძენს გომესი, რომელმაც ცხრა პირი ოფლი მოიდინა, რათა გუნდისთვის პრაგმატულობა შეემატებინა, მაგრამ ნახა, რომ ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას ყველა შემთხვევაში შეეცდება, კარლოს ვალდერამაა.

ვალდერამა 36 წლისა მოიყარა, თაეზე ძველებურად თმის ყვითელი ბუჩქი ადევს და ისევ ფაუსტინო ასპრილიასა და ფრედი რინკონს დირიჟორობს.

მაგრამ ასაკი ასაკია და აქ მარტო ვალდერამაში არ არის საქმე. ხალხი, რომელიც ზედიზედ მესამე მსოფლიო პირველობაში მონაწილეობს, ბუნებრივია უნდა მობერებულიყო.

კოლუმბიამ ჩემპიონატისწინა ამხანაგურ — საკონტროლო შეხვედრებში ერთ გამარჯვებასაც ვერ მიაღწია. ასეთი შეხვედრა კი რვა ჰქონდათ. მათ შორის გასული კვირის მატჩი ადგილობრივ, მეორეხარისხოვან ფრანგულ გუნდთან სათვალავში მისათვლელი არ არის, თანაც იმ თამაშში ვალდერამამ და კომპანიამ რის ვაივაგლახით მიაღწიეს გამარჯვებას საცოდავი ანგარიშით 1:0.

ყველაფერს ზედ ერთი ცუდი ამბავიც დაერთო. კოლუმბიის ნაკრების ექიმმა განაცხადა, რომ რამდენიმე ფეხბურთელს გრიპი შეეყარა...

რუმინეთმა საფრანგეთის საგზური იოლად მოიპოვა. დღეს, ბევრს მიაჩნია, რომ ეს ნაკრები ნაღმივითაა, არავინ იცის როდის, ვის აუფეთქდება ან აფეთქდება კი საერთოდ?

აღსანიშნავია, რომ იორდანესკუს ბომთამაშეთა ჟურნალისტებისგან დამალვაზე გაამახვილა. როგორც ჩანს მართალია ის ხალხი, ვინც ამბობს, რომ რუმინეთის არმიის გენერალს უპირატესად იმის დამალვა სურს, რომ შეთხელებულ დაცვაში ნახევარდაცვის მთავარი მოქმედი პირის, გეორგ ჰაჯის დაწევა აქვს გადაწყვეტილი.

„ძალიან მოხარული ვარ, რომ ჰაჯიც დაცვის სისუსტითაა შეწუხებული. ყველა ჩვენგანი ამაზე ფიქრობს და ეს მართლაც ასეა, მაგრამ სულ არ მინდა ისე გამიგოთ თითქოს ჰაჯის დაცვაში თამაშს ვუპირებდე“ — მაინც სცადა ჭორების გაფანტვა კაცმა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ სამშობლოს ნაკრებს თავს ანებებს და საბერძნეთში მიდის იქაური ეროვნული გუნდის გასაწვრთნელად.

აშკარაა, რომ იორდანესკუ საგანგებო იმედს ესპანური „ვალენსიას“ თავდამსხმელზე ადრიან ილიეზე ამყარებს. გულშემატკივრები ილიეს მეტსახელად კობრას უწოდებენ, თუმცა ისიც დაშავებული გახლდათ, მაგრამ მისი ტრავმა მძიმე არ ყოფილა და ამიტომაც მალე მოშუშდა.

„ისეთი წინათგრძნობა მაქვს, რომ ილიემ მსოფლიოს პირველობაზე უნდა გაიბრწყინოს. მას უზარმაზარი პოტენციალი აქვს და თუ თავად ირწმუნებს, რომ ჰაჯის ჩრდილიდან გამოსვლა სძალუძს, ყველაფერი რიგზე იქნება — თქვა იორდანესკუმ.

კოლუმბია და რუმინეთი მსოფლიოს წინა ჩემპიონატზეც პირველ ტურში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ფოტოზე იმ თამაშის მომენტია აღბეჭდილი: ჯარიმას კოლუმბიელი პერესი არტყამს.

გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

რუმინეთი: სტელია, პეტრესკუ, ფილიპესკუ, გეორგე პოპესკუ, ჩიბოტარიუ, მუნტიანუ, ჰაჯი, გალკა, გაბრიელ პოპესკუ, ილიე, მოლდოვანი

კოლუმბია: მონდრაგონი, სანტა, ბერმუდესი, პალასიოსი კაბრერა, ლოსანო, სერნა, ვალდერამა, რინკონი, არისტისაბალი, ასპრილია

ილია გაგუნაშვილი

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

FRANCE 98

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში თბილისში, კინოთეატრ რუსთაველის მეოთხე სართულზე, კროკოს კლუბში შეგეძლებათ თამაშების პირდაპირი რეპორტაჟების ნახვა და ფსონების დადება.

კროკო ფეხბურთის ყველაზე აზარტულ მოყვარულებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავში მოემსახურება.

ხვალიდან, 15 ივნისიდან „კროკოს“ ფსონების მიმღები ახალი ბიუროები გაიხსნება თბილისის №2, №63 და №67 ფოსტის განყოფილებების შენობებში

№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე
№63 ვარკეთილი
№67 გლდანი. პირველი სავჭრო ცენტრი

მსოფლიოს ჩემპიონატი

15 ივნისი			
ინგლისი — ტუნისი	1,15	5,6	10,0
0:1	1,6	3,2	3,5
რუმინეთი — კოლუმბია	2,0	2,9	3,5
გერმანია — აშშ	1,2	5,0	9,0
0:1	1,6	3,3	3,4
16 ივნისი			
შოტლანდია — ნორვეგია	3,6	2,9	1,9
ბრაზილია — მაროკო	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
17 ივნისი			
ჩილე — ავსტრია	2,2	2,9	3,0
იტალია — კამერუნი	1,25	4,0	8,0
0:1	1,9	3,2	2,6
18 ივნისი			
ს. აფრიკა — დანია	4,2	2,9	1,8
საფრანგეთი — საუდეთი	1,1	6,0	12,0
0:1	1,5	3,2	4,0
19 ივნისი			
ნიგერია — ბულგარეთი	2,0	2,9	3,4
ესპანეთი — პარაგვაი	1,3	3,4	7,0
0:1	1,9	3,2	2,6

იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXXVIII ტური

14 ივნისი	
კალიარი — კიევო	1,5	2,6	7,0
ფ. ანდრია — სალერნიტანა	2,5	2,9	2,5
ფოგჯა — ანკონა	1,8	2,9	4,2
ჯენოა — პადოვა	1,5	3,2	5,0
მონცა — პერუჯა	4,4	3,3	1,5
პესკარა — რეჯანა	2,3	2,7	3,0
რეჯინა — ვენეცია	2,4	2,7	2,8
ტორინო — ლუკეზე	1,1	6,0	12,0
ტრევიზო — დი სანგრო	1,5	3,2	5,0
ვერონა — რავენა	1,7	3,1	4,4

ჩემპიონი (ფინალში გასვლა)

ბრაზილია	4,0	(2,0)	ბულგარეთი	75,0	(40,0)
გერმანია	4,0	(2,0)	ავსტრია	100,0	(50,0)
საფრანგეთი	5,0	(3,0)	აშშ	100,0	(50,0)
იტალია	5,0	(3,0)	პარაგვაი	100,0	(50,0)
ინგლისი	6,0	(3,0)	კამერუნი	200,0	(100,0)
არგენტინა	10,0	(5,0)	ს. აფრიკა	200,0	(100,0)
ჰოლანდია	15,0	(7,0)	მაროკო	200,0	(100,0)
ესპანეთი	15,0	(7,0)	ტუნისი	500,0	(250,0)
იუგოსლავია	25,0	(15,0)	კორეა	500,0	(250,0)
ნორვეგია	25,0	(15,0)	იამაიკა	500,0	(250,0)
ნიგერია	50,0	(25,0)	საუდეთი	1000,0	(500,0)
ხორვატია	50,0	(25,0)	ირანი	1000,0	(500,0)
რუმინეთი	50,0	(25,0)	იაპონია	1000,0	(500,0)
დანია	50,0	(25,0)			
კოლუმბია	50,0	(25,0)			
ბელგია	75,0	(40,0)			
ჩილე	75,0	(40,0)			
შოტლანდია	75,0	(40,0)			
მექსიკა	75,0	(40,0)			

ფინალში გასვლაზე შეიძლება გადამრავლდეს ორი გუნდის კოეფიციენტი

ბომბარდირი	5,0
ანგარიში	5,0

პირველი ტაიმი/საბოლოო შედეგის გამოცნობაზე და სხვა კოეფიციენტებს თსონების შეტანის ადგილზე გაიცნობით

ფსონები მიიღება ყოველდღე 13-დან 16 საათამდე.

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

რუსთავში — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ისინი, რომლებიც შერცხვნენ

ჩემპიონატის დღიური

13 ივნისი

ლაშა გოდუაძე

FRANCE 98

ანდონი — ძალით მეკარე

...ესპანეთი — ნიგერია. შეხვედრის დასრულებამდე ოცი წუთიღაა დარჩენილი. ხავიერ კლემენტეს რთული მექანიზმი, ჩემპიონობაზე მეოცნებე გუნდი აფრიკელთ 2:1 უგებს, თან რუფაის კარს გამუდმებულად თავს ესხმის. თითქოს მათ გამარჯვებაში კაცი ეჭვს ვერ შეიტან, მაგრამ არც ისეა საქმე, ესპანელებს სამი ქულა ნაადრევად მიაკუთვნო. მიუხედავად იმისა, რომ მათი ტერიტორიული უპირატესობა აშკარაა, ჩამორჩენილი ნიგერიელები მწარე კონტრშეტევებით პასუხობენ ევროპელთა თავდასხმებს. ერთ-ერთ ასეთ უცაბედ შეტევას ანგარიშის გაყაიმება მოჰყვა — მარცხენა ფლანგიდან შეჭრილმა გარბა ლავალიმ კარის გასწვრივ ჩააწოდა, იქ კი ერთობ გამოცდილმა ანდონი სუბისარეტამ უყურადღებოდ ითამაშა, ორიენტაციადაკარგულმა ბურთის ხელში მოგდება სცადა, მაგრამ აეჭრა და კარში შეგორდა. მსოფლიოს მე-16 ჩემპიონატის მეხუთე (!) ავტოგოლიც გავიდა.

საერთოდ მოთამაშე რომ საკუთარ კარში გაიტანს ბურთს, ასეთი რამ, ბუნებრივია, იშვიათი სანახავია. მიუხედავად ამისა, აგერ უკვე ხუთი დღეა, მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო, ავტოგოლი კი იშვიათ კი არა, ლამის ყოველდღიურ მოვლენად იქცეს. ასე მგონია, ამ ჩემპონატზე მოთამაშეები უფრო მეტ

სამხრეთაფრიკელთა კარის დარაჯი ჰანს ვონკი დაღონებულია — თანაგუნდელმა პიერ ისამ ორჯერ ულმობლად დაალალატა

სარბიელის არქივიდან

გოლს საკუთარ კარში შეაგდებენ, ვიდრე მეტოქისაში. რა იქნება, ვნახავთ. მაგრამ გუნდებს ავტოგოლისკენ მიდრეკილება რომ ემჩნევათ, ამას თქმა არ უნდა.

„დროა, მივხვდეთ, რომ სუბისარეტა მეკარე აღარაა, იგი კარში მდგარი საფრთხობელაა, ისეთი, ბავშვობაში მიახლოვება რომ გვეშინოდა. სამწუხაროდ, ჩვენი მეტოქენი უკვე კარგა ხანია, რაც ბავშვები აღარ არიან, ამიტომ არც სუბისარეტასი შეეშინდებათ — მადრიდის პოპულარულმა გაზეთმა „ელ მუნდომ" ნიგერიელებთან მატჩისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ წერილში მეკარე სწორედ ასე დაახასიათა.

„ელ მუნდოს" დარად სუბისარეტა ბევრმა ესპანურმა გაზეთმა გააკრიტიკა. მეტიც, ერთ-ერთმა მათგანმა „მარკამ" ირონიულად ისიც დასძინა, ხავიერ კლემენტემ სუბისარეტას სამუდამო ერთგულება აღუთქვაო.

ნიგერიელებთან მარცხს პირინეის ნახევარკუნძულზე ძალიან კრიტიკულად გამოეხმაურნენ. წაგებაში მთავარ დამნაშავედ კი სწორედ სუბისარეტა მიიჩნიეს.

„გაუგებარია, რით დაიმსახურა მან ნაკრების კარის დაცვა. სუბისარეტა ბოლო ორი სეზონია, საშინლად თამაშობს — კლუბშია და გოლს გოლზე უშვებს, ნაკრებში კი რამდენიც დაურტყეს, იმდენი გაუშვა. დროა, იგი შეიცვალოს. ესპანეთი მსოფლიო ჩემპიონატზეა და არა სხვაგან. ეს გუნდის ხელმძღვანელობამ უნდა შეიგნოს" — არც „სესტი" გახლდათ ლმობიერი.

ძველი დამსახურებისთვის მედლებს არავინ იძლევა. კარგად თამაშობდი? — გმადლობთ, ახლა კი მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებ და სხვა შეგცვლის. მუდამ ასე იყო და ახლაც ასეა, ალბათ, მომავალშიც ასე იქნება. იყო დრო, სუბისარეტა ჩინებულად თამაშობდა, მაგრამ მერე, განსაკუთრებით კი ბოლო ოთხი წლის მანძილზე, ყველაფერი აირია.

გახსოვთ 1994 წლის ჩემპიონთა თასის ფინალი? მაშინ ფაბიო კაპელოს ლეგენდარულმა „მილანმა" „ბარსელონა" 4:0 გაანადგურა. იმ მატჩში კატალუნიელთა კარს სწორედ სუბისარეტა იცავდა. უსიამოვნებები სწორედ იქედან დაიწყო. ჯერ იყო და „ბარსელონადან" გაუშვეს, მერე ერთი პერიოდი ნაკრებიდანაც ამოვარდა. მართალია, საბოლოოდ ქვეყნის პირველ გუნდს დაუბრუნდა, მაგრამ რად გინდა? „სესტის" არ იყოს, რამდენი ბურთიც დაარტყეს მის კარში, იმდენი გოლი გაუშვა. განა ნიგერიელებთან ასე არ მოხდა? სანდი ოლისემ საერთოდაც ლაგოსიდან დაარტყა. სუბისარეტამ კი მხოლოდ მაშინ იკადრა გადახტომა, ბურთი კარიდან ერთ მეტრში რომ იყო. მეკარის ძალისხმევა გვიანი აღმოჩნდა — ოლისეს დარტყმამ მიზანს მიაღწია, ნიგერიამ იმარჯვა, ესპანეთი კი... ესპანეთი, განსაკუთრებით კი მეკარე სუბისარეტა შერცხვა, ფაქტობრივად თავი მოეჭრა.

— გუნდმა შესანიშნავად ითამაშა, მაგრამ ნამდვილად არ მეგონა, თუ გავიმარჯვებდით. ესპანეთი რომ ძნელად დასამარცხებელია, ეს ახალი ამბავი სულაც არ გახლავთ. ბიჭებს დარიგებები კი მივეცი, მაგრამ მარტო ჩვენ ვერას გავხდებოდით, ბედს რომ არ გაეღიმებინა ჩვენთვის. ბედმა კი ამ შემთხვევაში სუბისარეტას ორი შეცდომა დააშვებინა, რაც ჩვენთვის საკმარისი აღმოჩნდა — ნიგერიელი სუპერარწივების თავკაც ბორა მილუტინოვიჩი გამარჯვებას გარკვეულწილად სუბისარეტას ძღვენად მიიჩნევს.

არ შეიძლება, მწვრთნელს არ დაეთანხმო. რაც გუშინწინ ესპანელთა ნაკრების ყველაზე გამოცდილმა ფეხბურთელმა ჩაიდინა, შეუძლებელია, მას თამაში უწოდო — სუბისარეტა უფრო ვალის მოხდის მიზნით იდგა კარში, თორემ გაკეთებით არაფერი გაუკეთებია.

პრესა პრესად, მწვრთნელები მწვრთნელებად, ესენი ასე თუ ისე თავშეკავებულად მაინც გამოხატავენ აღშფოთებას, მაგრამ განა ქომაგები თავდაჭერილი ხალხია? არა, ამას ნამდვილად ვერ ვიტყოდი. მით უმეტეს, ესპანელებზე. თავისთავად ესპანელები ფიცხელი ხალხია, ემოციური, შაბათ საღამოს კი ნანტი ნერვებმოშლილმა ქომაგებმა აიკლეს. არა, მათ ქალაქისთვის რაიმე ზიანი არ მიუყენებიათ, უბრალოდ, ჯგუფ-ჯგუფად დაბორიალობდნენ, თან სუბისარეტას წინაპრებს „ტკბილად" იხსენებდნენ. რამდენიმე გულშემატკივარმა ნანტის ცენტრში, „ლე სერჟ დენის" მოედანზე სუბისარეტა კოცონზე დაწვა. ცხადია, მხოლოდ ჩუჩელა.

9 ივნისი. შოტლანდიელმა ტომი ბოიდმა (დგას) ჯერ კიდევ არაფერი იცის საბედისწერო მატჩზე

და რა ხდებოდა ამ დროს ვალენსიაში? ქალაქი, რომელიც თამაშის დროს თითქოს დაცარიელებულიყო, შეხვედრის დასრულებისთანავე აბობოქრდა. განსაკუთრებით თავზეხელაღებულმა გულშემატკივრებმა კი სუბისარეტას კლუბ „ვალენსიას" სტადიონს მიაშურეს და იქაურობა წითელი საღებავით დაწერილი მოწოდებებით ააჭრელეს — „სუბი, წაეთრიე აქედან", „ის მოღალატეა, გამყიდველებს კი ჩვენთან არაფერი ესაქმებათ" — დაახლოებით ამგვარი და ზოგჯერ უარესი შინაარსის წარწერები გუშინწინ ვალენსიაში მრავლად გაჩნდა.

...შემდეგი მატჩი ესპანელებს პარაგვაის მეტად სახიფათო გუნდთან აქვთ. პაულო ცეზარ კარპეჯანის ნაკრები კი ისეთ ფეხბურთს თამაშობს, ბევრ გუნდს უჭირს მასთან დაპირისპირება. პარაგვაელებს განსაკუთრებით უცაბედი, უძლიერესი დატყმით დაგვირგვინებული შეტევები ახასიათებს, ამ შემთხვევაში კი, თუ კვლავ კარში სუბისარეტა იდგა, ადვილი შესაძლებელია, ხავიერ კლემენტის გუნდმა ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე დაკარგოს შემდეგ ეტაპზე გასვლის ყოველგვარი შანსი.

ამბობენ, კლემენტემ სუბისარეტას სანაკრებო კარიერას წერტილი დაუსვაო. ვნახოთ, 19 ივნისს სენტ ეტიენში ყველაფერი გამოჩნდება.

ისა, რომელსაც ვერ უმკლავდებიან

ვინ იყო ის ვაჟკაცი, საკუთარ კარს გმირულად რომ ეკვეთა და გოლი გაიტანა? — პიერ ისა!.. რომელი იყო ის დევგმირი, ერთი ავტოგოლი რომ არ იკმარა და მეორეც გაიტანა? — პიერ ისა!.. ვინ იყო ის სამხრეთაფრიკელი, მსოფლიოს ჩემპიონატის ბომბარდირობა რომ ინდომა და საკუთარი კარი დაცხრილა? — პიერ ისა!..

დიახ, სწორედ სამხრეთაფრიკელი პიერ ისა გახლავთ ერთადერთი კაცი მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში, ერთ შეხვედრაში ორჯერ რომ აიღო... საკუთარი კარი. ასეთი მიღწევით მის გარდა ვერავინ დაიკვეხნის, თუმცა საეჭვოა, ვინმეს სურდეს, ისას რეკორდი წაართვას.

იმ დღეს მარსელში საფრანგეთი მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ მატჩს თამაშობდა. უკლებლივ ყველა ფრანგი ბეჭებზე გაკრული სამხრეთ აფრიკის ხილვას ნატრობდა. ფრანგებს სურვილი აუხდათ, თუმცა რომ არა ისა, მასპინძლები სტუმრებს ვერ გაანადგურებდნენ. ისას ოფლის ღვრას ტყუილად არ ჩაუვლია — მარსელის „ოლიმპიკის" მცველს აწ უკვე გასრულებულ საფრანგეთის ჩემპიონატში მხოლოდ ერთი გოლი შეეგდო, ახლა კი იმდენად ეწადა ნაცნობ ადგილებზე შედეგიანად განავარდება, რომ მისი შემჩერებელი არავინ გამოჩნდა. მიადგა და დაცხრილა ვონკის კარი. მეკარემაც რამდენიმე დარტყმა აუღო, მაგრამ მოწადინებულ მცველთან მაინც ვერას გახდა.

ეს ისე, ხუმრობით. თუ ისას პირველ ავტოგოლს კიდევ შეიძლება მოეძებნოს რამენაირი გამართლება (მცველის მოქმედება იმ მომენტში იმპულსური გახლდათ — ბურთისკენ გაშვერილი ფეხი ველარ მოხარა), მეორე ავტოგოლი რატომ გაიტანა, გაუგებარია. ტიერი ანრის შესანიშნავი გარღვევა კარში კი მიდიოდა, მაგრამ ისამ ზედ კარის ხაზზე მიუსწრო, გააჩერა, მერე კი მარჯვენა ძლიერად მოიქნია და ანგარიშიც 3:0 გახდა. თითქოს აფრიკელთ ორბურთიანი ჩამორჩენა არ ელოდათ, მესამე გოლი გაუშვეს.

— ისა, შენ ნამდვილი მარსელელი ხარ. ჩვენ შენ ძალიან გვიყვარხარ! — ნაკრების გამარჯვებით გახარებული მარსელის „ოლიმპიკის" გულშემატკივრები ჩინებულ ხასიათზე გახლდნენ. ან კი რატომ უნდა ყოფილიყვნენ ნირწამხდარნი?

ისაზე კი ვხუმრობთ, მაგრამ თავად ფეხბურთელი რა დღეში იქნება, ალბათ წარმოგიდგენიათ. ავტოგოლების გამო ჯერ იყო და სამხრეთ აფრიკაში საშინლად გაამასხარავეს, ისიც დაწერეს, „ბაფანა ბაფანა" დაუმარცხებელია, ერთი პიერ ისას ვერ უმკლავდებაო. იოჰანესბურგის და კეიპტაუნის უამრავ გაზეთში დაიბეჭდა ისას შარჟები. ამან კი მცველზე, ცხადია, ცუდად იმოქმედა. სამხრეთაფრიკელთა მწვრთნელი ფილიპ ტრუსიეს ფსიქოლოგის დახმარება დასჭირდა დაბეჩავებული მცველის გასამხნევებლად. ცხადია, ნაკრების თითოეულმა წევრმა კარგად უწყოდა, რომ ისას ავტოგოლების გატანა არ უნდოდა — ეს სრულიად გასაგები შემთხვევითობა გახლდათ.

და მაინც, პიერ ისა, მიუხედავად თავსდამტყდარი უსიამოვნებისა, სამუდამოდ შევიად მსოფლიოს ჩემპიონატების მატიანეში — იგი ერთადერთია, რომელსაც ერთ მატჩში ორჯერ დაულაშქრავს საკუთარი კარი!

და დადგა ჟამი სირცხვილისა: სუბისარეტა და ძმანი მისნი სირცხვილისგან იწვიან

სარბიელის არქივიდან

... და კიდევ

ზემოხსენებული ორი მოთამაშის გარდა ავტოგოლებით ამ ჩემპიონატზე თავი კიდევ ორმა ფეხბურთელმა დაგვამახსოვრა — მაროკოელთაგან ჩიპომ „ისახელა" თავი, მასზე რამდენიმე საათით ადრე კი შოტლანდიელმა ტომი ბოიდმა ჯიმ ლეიტონის კარში შეგდებული ბურთით, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებს ბრაზილიელებს ტურნირის გახსნის მატჩში გამარჯვება არგუნა.

არცერთი მათგანი სამშობლოში ჟურნალისტებს არ დაუნდიათ — ორივეს საშინელი კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდათ თავს. მიუხედავად ყველაფრისა მაინც უნდა ითქვას, რომ ამ ორი ფეხბურთელის კრიტიკა თავისი სიმწარით ვერ შეედრება ვერც ისას, მითუმეტეს ვერც სუბისარეტასას.

ხულიგნები ჩვეულად ვეღარ ლაღობენ

ხულიგნებს საფრანგეთში არავინ გაახარებს

სარბიელის არქივიდან

მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორები ბოლო თვეების განმავლობაში ასე გაფაციცებით ტყუილად როდი ემზადებოდნენ ათასი ჯურის გულშემატკივრების დასახვედრად. ვინ-ვინ და ფრანგმა სამართალდამცავებმა კარგად უწყოდნენ, რომ ამ ზაფხულში ადვილი სამუშაო ნამდვილად არ ელოდათ. აი, დაიწყო ჩემპიონატი და სხვადასხვა ქვეყნიდან საფრანგეთში ათასგვარი ხერხებით შეღწეულმა ხულიგანმა ფანებმა ყველას შეახსენეს თავი. ეს მოვლენა ბოლო ხანებში ნებისმიერი დიდი ასპარეზობის მუდმივ თანამგზავრად იქცა, ურომლისოდაც მსოფლიოს ჩემპიონატებისა თუ სხვა ტურნირების ჩატარება უკვე ვეღარავის წარმოუდგენია.

ჩემპიონატის გახსნის მატჩმა ბრაზილიისა და შოტლანდიის ნაკრებებს შორის უამრავი ბრიტანელი ქომაგი მიიზიდა. თუმცა ტრიბუნებზე არც სამხრეთამერიკელი სამბას მოცეკვაეების ნაკლებობა შეინიშნებოდა. მართალია, თავად თამაშის დროს მაყურებლებს დასაძრახი არაფერი ჩაუდენიათ, მაგრამ პოლიციამ გახსნის ცერემონიალის შემდეგ რამდენიმე ჩხუბისთავი მაინც დაიკავა. ასე შეიქნა 30 წლის შოტლანდიელი კრისტოფერ კაილი პირველი ფეხბურთის ხულიგანი, რომელიც წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე უღირსი საქციელისთვის საკადრის ადგილას მიბრძანეს. ახლა სქოთს სასამართლო პროცესზე გამოცხადება მოუწევს, სადაც სავარაუდოდ ორი თვით პატიმრობას მიუსჯიან. მაინც, რა გაკეთა ამ კაცმა ასეთი, ციხეში ჩასამწყდეკად რომ იმეტებენო — იკითხავს მკითხველი. არა, შოტლანდიელს არავინ მოუკლავს, მაგრამ გაილეშა და იხულიგნა. იგი ტიპიური ბრიტანელი ამრეკია, რომელთაც აგრერიგად უფრთხიან მთელ მსოფლიოში.

პარიზის სასამართლომ კაილის ადვოკატის განაცხადი უარყო, სადაც ეს უკანასკნელი თავისი კლიენტისთვის ექვსთვიან პირობით სასჯელს ითხოვდა. მსაჯულები არც იმას დაყაბულდნენ, რომ შფოთისთავისთვის საფრანგეთის სტადიონებზე დასწრების აკრძალვა არ მიესჯათ. როგორც აღმოჩნდა, კაილი ხუთ ფრანგ ხულიგანთან ერთად დაუპატიმრებიათ და ახლა ამ კომპანიას ორი თვე ერთად მოუწევს ციხეში ყურყუტი.

პოლიციის წარმომადგენლებმა, რომლებიც სასამართლოზე დამბაშავეთა წინააღმდეგ აძლევდნენ ჩვენებას, განაცხადეს, რომ მათ ერთი სუჭა ნაძირალების გამო გახსნის ცერემონიალს საერთოდ ვერ ადევნეს თვალი, ხოლო რამდენიმე სამართალდამცავი ელისეის მინდვრებზე ხულიგნებთან შეტაკებისას მეტად მძიმედ დაშავდა.

კიდევ ერთი ბრიტანელი დებოშიორი სტეფან სტეპლი, რომელიც ოთხშაბათს ბრაზილია — შოტლანდიის მატჩზე ამ უკანასკნელთა მხარდასაჭერად მისულიყო, შეიარაღებული რაზმის ოფიცრებმა დააკვეს. მას, თურმე ფანურმა სულმა უყივლა და დანამომარჯვებული მეტოქე გუნდის გულშემატკივრებს დაერია. სტეპანი დიდი ხანია ბრიტანეთის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ხულიგნად ითვლება და ამაში ცუდს ვერაფერს ხედავს. ფრანგული პოლიციის ცნობით, მისი საქმეც ზემოთხსენებულ ექვს „კომპანიონთან“ ერთად უნდა გასულიყო, მაგრამ მოულოდნელად ბრიატნელი სინდისის ქეჯნას შეუწუხებია, გულყრა დამართია და მსაჯულები იძულებული გამხდარან, სასამართლო ორშაბათისთვის გადაედოთ.

დანით თამაშის მოყვარული ფანების ამბავი ამით არ დასრულებულა. მავანი შოტლანდიელი ჩემპიონატის გახსნის შეხვედრის დაწყებამდე სამხრეთამერიკელი ტორსიდას წარმომადგენლების ცივი იარაღით დაშინებას ცდილობდა და რომ არა ჩაფრების სიმამაცე, კაცმა არ იცის, ეს ამბავი როგორ დასრულდებოდა.

სამართალდამცავები დიდი ყურადღებით აკვირდებიან სტადიონთან მიახლოვებულ თითოეულ ადამიანს და ოდნავი დაეჭვების შემთხვევაშიც კი ოპერატიულად მოქმედებენ. კიდევ ერთი დანით ხელდამშვენებული კაცი, რომლის ეროვნებასაც რატომღაც საიდუმლოდ ინახავენ, მაშინ დააკავეს, როდესაც ერთ-ერთ ფანს მეტად საეჭვოდ მისდევდა და ემუქრებოდა. როგორც შემდეგ გაირკვა, გულშემატკივარს ჯიბეში თურმე საკმაოდ დიდი თანხა ედო, რომლითაც გადამყიდველებისგან ბრაზილია — შოტლანდიის თამაშის ბილეთის ყიდვა გადაეწყვიტა. უცნობია, საიდან, მაგრამ თავდამსხმელმა ამის შესახებ კარგად უწყოდა და ფულის იოლად შოვნა სცადა. თუმცა მან სასამართლოზე ძალადობის ფაქტი უარყო და თავის გასასამართლებლად ისღა თქვა, ამ კაცს დიდი ფული რომ დავუნახე, თვალ-ყური მივადევნე, ვინმეს არ წაერთმიაო.

შოტლანდიელი ფანების უმსგავსო საქციელის მიუხედავად, ფრანგული პოლიციის წარმომადგენლები ჩემპიონატის გახსნის დღით მაინც კმაყოფილი არიან.

— ოთხშაბათის შედეგები (სწორედ ამ დღეს გაიხსნა მსოფლიოს ჩემპიონატი) არცთუ ურიგო იყო. მართალია, ჩვენს თანამშრომლებს რამდენიმე კაცის დაპატიმრება მოუხდათ, მაგრამ მოლიანობაში პირველმა დღემ მაინც მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პოლიციელები გულშემატკივრებს შეერივნენ და ყოველგვარი მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად სრულ მზადყოფნაში იყვნენ. თუმცა მათ დიდი ჯაფა არ დადგომიათ და გახსნის ცერემონიალიითაც სხვებთან ერთად ისიამოვნეს — თქვა პარიზის პოლიციის განყოფილების უფროსმა.

ფრანგი სამართალდამცავების კოლეგისა და უახლოესი მეგობრის, შოტლანდიელი პეტერ გიბსონის განცხადებით, ჩემპიონატის ორგანიზატორები რამდენიმე თვის წინ ბრიტანეთში იმყოფებოდნენ და საკუთარი თვალით ნახეს იქაური გულშემატკივრების საქციელი. ამიტომ მათ დასახვედრად სადღეისოდ სრულ მზადყოფნაში არიან, რაშიც პირველივე დღეებში ყველა დაარწმუნეს.

ეს 10-11 ივნისის ამბებია, მაგრამ ჩემპიონატი ხომ კიდევ ერთ თვეს უნდა გაგრძელდეს. ამიტომ პოლიციას სამუშაო ალბათ, კვლავაც არ მოაკლდება. არგენტინის ნაკრებმა ასპარეზობა მხოლოდ გუშინ დაიწყო, ამათი ექცენტრიკული ქომაგების საფრანგეთში ჩასვლის ამბავმა კი უკვე რიგითი გულშემატკივრების ყურამდე მიაღწია. ბრიტანელ ხულიგნებზე არანაკლებ საშიში სამხრეთამერიკელები საგანგებო ყურადღებას მოითხოვენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ „საგმირო საქმეებით“ ყველაზე მეტად გამორჩეული ოცი ფანი საფრანგეთში საუკეთესო არგენტინელი ოფიცრების თანდასწრებით ჩავიდა და იქაც მათი მეთვალყურეობა არ მოაკლდება.

არგენტინის ფეხბურთის ოფიციალურმა პირებმა ფრანგ ორგანიზატორებს 900 აგრესიული ხულიგნის ფოტო გაუგზავნეს, რომელთაგანაც, თუ ფედერალური პოლიციის უშიშროების განყოფილების დირექტორ ოსკარ მონტარანოს სიტყვებს ვენდობით, სადღეისოდ საფრანგეთში მხოლოდ 20 მათგანია ჩასული.

როგორც აღმოჩნდა, სამხრეთამერიკელ სამართალდამცავებს ერთობ უჭირთ მსოფლიოს ჩემპიონატზე ცუდი საქციელით ცნობილი ქომაგების გამგზავრებას შეუშალონ ხელი, რადგან ისინი აეროპორტებში პოლიციელებთან შეტაკების თავიდან ასაცილებლად საფრანგეთში სათითაოდ გადაფრენას ამჯობინებენ. მაგალითად თუნდაც „ბოკა ხუნიორსის“ ყველაზე სასტიკი ფანი ლუიზიტო გამოდგება. მაშინ, როცა ამ არგენტინული კლუბის სხვა გულშემატკივრები პოლიციამ ასე თუ ისე შინ დარჩენაზე დაიყოლია, ლუიზიტოს თურმე ვერაფერი მოუხერხეს.

— ლუიზიტო საფრანგეთში თავის ექვსი წლის ვაჟიშვილთან ერთად გაფრინდა, რასაც ჩვენ წინ ვერ აღვუდექით. თანაც მან ეშმაკურ ფანდს მიმართა. ბუენოს აირესიდან სამხრეთ აფრიკაში ჩავიდა, იქედან მოსკოვს მიაშურა და პარიზში რუსეთის დედაქალაქიდან მოხვდა — განაცხადა არგენტინის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა.

ისე, უნდა ითქვას, რომ თავხედი არგენტინელების თავისუფლად პარპაში კარგს არაფერს მოუტანს მშვიდობიან მაყურებელს, რომელიც საფრანგეთში ლამაზი ფეხბურთის სანახავად ჩავიდა და ამგვარ ფანატიკოსებთან შეხვედრა ნამდვილად არ სურს. სახრეთამერიკელებს ხომ ფანების უმსგავსო საქციელის გამო ამ სამოიდე კვირის წინ ლამის ეროვნული ჩემპიონატი ჩაშალათ. სტადიონებზე მუდმივად ხდებოდა მკვლელობები და ამიტომ არა გვგონია, ხულიგნებმა, რომლებიც თანამემამულეებს აუცილებლად ხოცავენ, სხვა ერის წარმომადგენლები დაინდონ.

დაბოლოს, ერთსაც გავიხსენებთ. მით უმეტეს, წლეულს ჯგუფებში გუნდები ისე არიან განლაგებული, რომ ადვილი შესაძლებელია, არგენტინისა და ინგლისის ნაკრებები მერვედფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. 1986 წელს ნახევარფინალში თამაშის მოსაპოვებლად სწორედ ეს გუნდები შეიბნენ. მაშინ არგენტინამ 2:1 იმარჯვა და გაგულისებულმა ბრიტანელებმა შეხვედრის შემდეგ სამხრეთამერიკელებთან გრანდიოზული ჩხუბი მოაწყვეს.

ერთი სიტყვით, მსოფლიოში ამრევებს რა დალევს. ამიტომაც ემზადებოდნენ ასე გულმოდგინედ ფრანგი სამართალდამცავები.

ირაკლი ხმელიძე

ფრანგებს გაუჭირდათ

სტეფან გივარში

სარბიელის არქივიდან

ფრანგებმა ჩემპიონატი ისე დაიწყეს,როგორც მაღალი კლასის გუნდსა და მასპინძელს ეკადრება. მართალია, ამაში მათ მოწინააღმდეგეთა მცველი პიერ ისა ძლიერ დაეხმარა, მაგრამ ეს ბევრს არ ნიშნავს, ევროპის 1984 წლის ჩემპიონებმა პირველებმა იმარჯვეს დიდი ანგარიშით, რითიც თავიანთი გულშემატკივრების აღფრთოვანება დაიმსახურეს. თუ იმ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციასაც გავიხსენებთ, არც თავად გამარჯვების შემოქმედნი უნდა იყვნენ უკმაყოფილონი, მეტიც, ფრანგებმა თავიანთი თანამემამულის, სამხრეთაფრიელთა თაკაც ფილიპ ტრუსიესგანაც მიიღეს საქებარი სიტყვები. მოკლედ, სამფეროვნებმა მეტად დამაჯერებელი სტარტი აიღეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შემდგომ მატჩს ისინი გარკვეულწილად შეთხელებული შემადგენლობით შეეგებებიან.

პარასკევის მატჩში საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელმა სტეფან გივარშმა, რომელიც მომავალ სეზონში თემურ ქეცბაიასთან ერთად „ნიუკასლ იუნაიტედში“ ითამაშებს, მუხლის ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქმნა. ეს ცვლილება 26-ე წუთზე მოხდა, მის ნაცვლად მოედანზე გამოსულმა კრისტოფ დიუგარიმ კი რამდენიმე წუთში ფრანგთა პირველი სამსოფლიოსჩემპიონატო გოლი გაიტანა. „ვეცდებით, გივარშს რაც შეიძლება სწრაფად ვუწამლოთ, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს მალე მოხდება“ — განაცხადა ნაკრების ექიმმა ჟან-მარსელ ფერემ. მისივე თქმით, ფორვარდს მარცხენა მუხლი აქვს დაზიანებული, რომლის მკურნალობასაც სულ მცირე, ათი დღე დასჭირდება. აქედან გამომდინარე, მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელთა ძირითადი თავდამსხმელი, რომელმაც გასულ სეზონში „ოსერის“ შემადგენლობაში ჩატარებულ 57 შეხვედრაში 47 გოლი გაიტანა, მორიგ თამაშს საუდის არაბეთთან ვეღარ ჩაატარებს.

ფრანგების თავდასხმის პრობლემები ამით არ მთავრდება — იმავე მატჩში, ბოლო წუთებზე შეცვლაზე შესულმა ამომავალმა ვარსკვლავმა დავიდ ტრეზეგემაც ტრავმა მიიღო, მას კუნთი დაეჭიმა, თუმც ნაკრების თავკაც ემე ჟაკეს დიდი იმედი აქვს, რომ იგი 18 ივნისამდე მოასწრებს გამოჯანმრთელებას და არაბებს ბევრ საზრუნავსაც გაუჩენს.

მსოფლიოს ჩემპონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, ერთ-ერთ ვარჯიშზე, „ჩელსის“ ცენტრალურმა მცველმა ფრანკ ლებეფმაც კუნთი დაიზიანა. ასე რომ, თუ მოხდა და ნაკრების ლიბეროს ლორან ბლანს, რომლის შემცვლელადაც ლებეფი ითვლება, რაიმე დაემრთა, საფრანგეთის ნაკრები ლიბეროს გარეშე დარჩება.

როგორც ხედავთ, მიუხედავად პირველ თამაშში მშვენიერი გამარჯვებისა, ტურნირის მასპინძლებს საკმაოზე მეტი პრობლემები დაუგროვდათ. მათი ყველაზე სუსტი ადგილი — თავდასხმა (ეს სამხრეთაფრიკელებთან მატჩმაც დაამტკიცა) კიდევ უფრო დაუძლურდა, მაგრამ ალბათ არ არსებობს დღეს დედამიწაზე ადამიანი, რომელსაც სჯერა, რომ უსუსური არაბები ამით ისარგებლებენ. მათი თანამემამულე ზინედინ ზიდანი ხომ ისევ ზიდანობს.

დავით კოვზირიძე

ტორიჩელი გამოჯანმრთელდა

სარბიელის არქივიდან

მორენო ტორიჩელიმ, ისევე, როგორც მთელმა „იუვენტუსმა“, 20 მაისის ჩემპიონთა ლიგის ფინალი ძალიან ცუდად ითამაშა. წლეულს რომ მსოფლიოს ჩემპიონატი არ ყოფილიყო, მადრიდის „რეალთან“ დამარცხებით გამოწვეული დარდი სკუდეტოს მფლობელებს ალბათ უფრო დიდხანს გაჰყვებოდათ, მაგრამ საფრანგეთი 98 კარს იყო მომდგარი და ნაკრების ტურინელმა წევრებმაც მთელი ყურადღება მისთვის მზადებაზე გადაიტანეს. დაიწყო შეკრებები, ტაქტიკური მონახაზები, ფიზიკური დატვირთვები და ამხანაგური მატჩები. სწორედ მსოფლიო პირველობისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპზე, 28 მაისს, როდესაც გუნდი მორიგ ვარჯიშს ატარებდა, იტალიელთა ზედმეტად ემოციურმა მცველმა მორენო ტორიჩელიმ ფეხის ტრავმა მიიღო. თავიდან, ექიმების ჩათვლით, ყველას ეგონა, რომ ტრავმა საშიში არ იყო, მაგრამ მერე გაირკვა: ტორიჩელი პირველ სამსოფლიოსჩემპიონატო მატჩში ჩილელთა წინააღმდეგ ვერ ითამაშებდა. მეტიც, შეიქმნა მისი საფრანგეთი 98-ის მიღმა დარჩენის საშიშროებაც, თუმცა ჩეზარე მალდინიმ იგი საბოლოო განაცხადში მაინც შეიყვანა. არც შემცდარა — ტორიჩელიმ მოსალოდნელზე გაცილებით სწრაფად გაიარა მკურნალობის კურსი და დღესდღეობით მთელი დატვირთვითაც ვარჯიშობს: „ჩემდა საბედნიეროდ, მკურნალობამ საუცხოო შედეგი გამოიღო და ნაკრებში თამაშისთვისაც ყოველმხრივ მზად ვარ. იმედია, გუნდის ხელმძღვანელობა კამერუნელებთან პაექრობის საშუალებას მომცემს“ — განუცხადა ჟურნალისტებს ჩემპიონთა ლიგის 1996 წლის ფინალის ერთ-ერთმა გმირმა. მიუხედავად ტორიჩელის ოპტიმიზმისა, დაირხა ხმები, რომ ჩეზარე მალდინი 17 ივნისის შეხვედრაში უპირატესობას მის კონკურენტ (როგორც კლუბში, ასევე ნაკრებში) დი ლივიოს მიანიჭებს. ისე, ძნელია ანჯელოს მიერ ჩილელებთან ჩატარებული უფერული შეხვედრის შემდეგ იტალიელთა თავკაცის ამ გადაწყვეტილებას გონივრული უწოდო.

დავით კოვზირიძე

ტრავმები, ტრავმები...

ფეხბურთელის ტრავმები ჩვეულებრივი ამბავია. ეს პრობლემა წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე კიდევ უფრო მწვავედ წარმოჩნდა — საფრანგეთი 98-ს რამდენიმე ვარსკვლავი თუ საშუალო დონის მოთამაშე გამოაკლდა, მაგრამ მსაჯი, ისიც გვერდითი, დაშავებულიყოს, მართლაც იშვიათობაა. ვერც არისტიდის სოლდატოსი იფიქრებდა, რომ ამ გამონაკლისთა სიაში მოხვდებოდა, თუმცა რა არ ხდება — ეორთ-ერთ ვარჯიშზე (ფეხბურთელთა მსგავსად, ფიზიკურ და თეორიულ წვრთნას არბიტრებიც გადიან) მან ფეხი დაიზიანა და ინგლისის პირველ სამსოფლიოსჩემპიონატო შეხვედრას ტუნისის ნაკრებთან ვეღარ მოემსახურება. ამ საკითხზე ფიფას შესაბამისმა კომისიამ უკვე იმსჯელა და გადაწყვიტა — სოლდატოსის ნაცვლად დღევანდელ შეხვედრაში იაპონელ მასუიოში ოკადას დრამან დანტე დაეხმარება, ხოლო დაშავებული თანამსაჯი დანტეს 22 ივნისის ინგლის — რუმინეთის მატჩში შეცვლის.

გიო ახვლედიანის

სამი სვეტი

ერის გული

ძალიან გრძელია ეს მსოფლიოს ჩემპიონატი.

თითქოს საუკუნეა დაიწყოო და ჯერ პირველი ტურიც არ დასრულებულა. არადა, უკვე რამდენი რამ მოხდა.

ეს ჩვენი კარგი პატრიკიც, კლუვერტად წოდებული, მიაბრძანეს. რა ვთქვა? ორი წლის წინათ, თითქოს ყველაზე კარგი მეგოლე იყო, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, თუ რა იყო სამი წლის წინათ. „სტად დე ფრანსზეც“ საუკეთესო ჰოლანდიელად მივიჩნევდი, მაგრამ რა გამოუვიდა?

იძულებითი დასვენება.

და საერთოდ, ამ ჰოლანდიას რაღაც ესპანური დაავადება შეეყრება ხოლმე. ძველ დროში გრიპი იყო ასეთი — „ისპანკა“ ერქვა, ანუ, ესპანური ვირუსი — ათასობით ხალხს ხოცავდა. ჩვენს დროში კი ესპანური ვირუსი გუნდებს ხოცავს.

ამ ვირუსის თვისებები კი ასეთია: გუნდში აუცილებლად საუცხოო ფეხბურთელები უგდა შეკრიბო. მწვრთნელადაც ნორმალური ვინმე გყავდეს. გუნდმა დიდი წარმატებით უნდა განვლოს შესარჩევი ციკლი და ამხანაგური თამაშები ასტრონომიული ანგარიშით უნდა მოიგოს. მერე უნდა გაიმგზავროს რომელიმე დიდ ტურნირზე და იქ ბოდიში და ჩაისვაროს, დაამხოს საკუთარი რეპუტაცია, იჭიჭყინოს და შინ წავიდეს.

ესპანური დაავადება უცბად ვრცელდება ხოლმე — გამორჩევით მსოფლიო ჩემპიონატზე.

წლეულს ესპანური დაავადების საშიშროება ემუქრებათ ჰოლანდიელებს და რუმინელებს. რა თქმა უნდა, ესპანელებსაც. თუმცა, ესპანელებს კი არ ემუქრებათ, არამედ სჭირთ და ამით კარგა ხანია იტანჯებიან.

უცნაური კაცია ეს ხავიერ კლემენტე. მე ძალიან მიკვირს, რომ ესპანელთა შემადგენლობაში არ ჩანს ხორხე სალინასი. ეს ფეხბურთელი იმგვარად ჰყავდა ამოჩემებული კლემენტეს, რომ რა დასამალია და, კაცს უხერხულ ფიქრებს აღუძრავდა. იგივე შეიძლება ითქვას ესპანელთა კაპიტან ანდონი სუბისარეტაზე, რომელიც ფეხბურთში გამელოტებული კაცი კია, მაგრამ გამელოტებაც არის და გამელოტებაც. მისი ამ ჩემპიონატზე თამაში იმას ჰგავს, 1958 წელს შეჯირვებულმა არგენტინელებმა 42 წლის ანხელ ლაბრუნა რომ გამოიძახეს შვეციაში. იმ საქმიდან არაფერი გამოვიდა. მაშინაც, არგენტინელებს „ისპანკა“ სჭირდათ, თუმცა, ეს იმის ბრალი იყო, რომ სამხრეთამერიკელთა უდიდესი თავდასხმის ხაზი იტალიაში გადაბარგდა.

ის დრო კი წავიდა, მაგრამ დაავადება დარჩა.

ეს დაავადება ნამდვილად არ სჭირს ნიგერიის ნაკრებს.

დღეს საქმე ასეა — ნაღდი და მგრძნობიარე ფეხბურთი სადაცაა, ნიგერიის ნაკრებიც იქვეა. გასწი-გამოსწი და ასეა. უკვე მერამდენედ, ნიგერიის ნაკრები ამტკიცებს, რომ თავისი თითქოს გულუბრყვილო, თითქოს ზედაპირული თამაშით შეუძლია მოწინავე გუნდების დამარცხება.

გუშინწინაც ასე არ იყო?

ნიგერიის დედაქალაქ ლაგოსში, მსოფლიოს ალბათ ყველაზე ქაოტურ ქალაქში, დღესაც არაა სიწყნარე. ნიგერიას ახალი დიქტატორი, ახალი გენერალი ჰყავს. ლაგოსის ქუჩებში ტანკებია. ქვეყანაში ხშირია ტომთაშორისი კონფლიქტები და რელიგიური ომები. ღატაკთა ნიგერიას, სადაც ყველაფერი ერთი მუჭა მდიდრების ხელშია, ერთი სიხარული აქვს — თავისი ეროვნული ნაკრები. ეს ნაკრები ძალიან უცნაური რამ არის. მსოფლიოში ძნელად რომ მოიძებნოს ასეთი ბედის გუნდი. ამ გუნდს არა აქვს გეგმაზომიერი პოლიტიკა, არა ჰყავს მწვრთნელი, რომელიც კლემენტეს, ან სხვათა დარად ხანგრძლივი დროით მოამზადებდა ნაკრებს, არა აქვს პირობები იმისა, რომ მშვიდად იმოგზაუროს. ერთადერთი, რაც ამ გუნდს გააჩნია, არის ფეხბურთელთა, დღევანდელი გაგებით ვარსკვლავთა, მთელი წყება, რომელიც დიახაც რომ დაიტრაბახებს სახელოვან ევროპულ გუნდებში კარგი თამაშითა და ჯილდოებით.

ნიგერიის ნაკრები ამერიკელთა, ევროპელთა, თუნდაც აზიელთა დარად, ვერ დაიტრაბახებს ზღაპრული შეთამაშებით, ვარჯიშებზე მიღწეული ურთიერგაგებით და მსგავსი რამეებით. ეს ურთიერთგაგება ნიგერიელთა გუნდში თითქოს ექსპრომტად, იმწამიერად დაიბადება ხოლმე. სწორედ ეს არის ნიგერიელთა თამაშის ერთ-ერთი

არავინ იცის, რამდენ წუთს ითამაშებს 21 წლის ნვანკვო კანუ მსოფლიო ჩემპიონატზე, ის კი ცხადია, რომ კანუც გამორჩეული ჭკუისა და სტილის ფეხბურთელია და თავიც ამიტომ გავუდიდეთ სამჯერ.

ხიბლი. სხვა ხიბლი? რა თქმა უნდა, ტექნიკა. მომკალით და ჯობდნენ ამ ესპანელებს ტექნიკურად.

თანაც ერთი რამეცაა: ნიგერიელთა მონაწილეობით მიმდინარე თამაში ყოველთვის საინტერესოა. ის მრავალფეროვანია. უფრო სწორად, ეს მრავალფეროვნება იმაში გამოიხატება, რომ თამაში ყოველთვის ღიაა, ორმხრივი და შთამბეჭდავი ეპიზოდებით მდიდარი. თავში ვახსენე გულუბრყვილობა-მეთქი. ერთგვარი პრიმიტივიზმიც კი, საკმაოდ მისაღები და მომხიბვლელი დღევანდელი ტაქტიკური მიმართულებების ფონზე.

არის ასეთი ცნობილი ოთხი წლის წინანდელი ტელეკადრი: მოწინააღმდეგის კარში შევარდნილ რაშიდ იეკინის კარის ბადე ჩაუბღუჯავს ხელეებში და ვერ გაიგებ, ტირის, თუ იცინის. ეს არის ტელეკადრი ნიგერიელთა პირველი მატჩიდან მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში. ახლაც, როგორც მაშინ, ნიგერიის ნაკრები ბულგარელთა წინააღმდეგ ითამაშებს და ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, რომ ბულგარეთმა, ამ მხრივ რაიმე სიურპრიზი შემოგვთავაზოს. თანაც, საინტერესო ისიცაა, რომ ეს არ არის ერთი რომელიმე თაობის საქმე.

წამოვიდა და წამოვიდაო, რომ იტყვიან,სწორედ ისეა. ერთ-ორ დღეში ასეთი რამ არ ხდება.

ოთხი წლის წინანდელ გუნდს ახალი ნიგერიელებიც დამატებიან. ესენი იმ ოლიმპიური გუნდის წევრები არიან, ატლანტაში ოქრო რომ მოიგეს. ამათ შორის პირველი, რა თქმა უნდა ნვანკვო კანუა — ალბათ, საუკეთესო ნიგერიელი ფეხბურთელი. კანუ გუნდშია, მაგრამ გულის რთული ოპერაციის შედეგები ჯერაც ვერ დაუძლევია ბოლომდე. მწვრთნელმა ბორა მილუტინოვიჩმა ესპანელებთან მატჩში ის საერთოდ არ (ან ვერ) გამოყვანა). კანუ ნიგერიელთა გუნდის ტვინი იყო, როცა კი თამაში შეეძლო. ნიგერიელებს ეტყობათ და არც ეტყობათ მისი არყოფნა. აი, აქ კი მივადექით ამ გუნდის კიდევ ერთ თვისებას — იქნება კანუ, თუ არ იქნება კანუ, ნიგერია იმის თამაშობს, რაც იცის და რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ეს თამაში ამართლებს. ნიგერიელები საკმაოდ უხეშნი არიან ორთაბრძოლებში, მაგრამ მათი ტექნიკა და ჯიგარში გამჯდარი შეტევის წყურვილი იოლად გადაფარავს ხოლმე ამ უსიამო ამბავს.

შეტევა — აი, ნიგერიელთა თამაშის არსი. უკანმოუხედავი შეტევა — ძველი და დაუვიწყარი ამბავი.

ნიგერიელები თითქოს იმის დამტკიცებას ცდილობენ, რომ ამ თავზეხელაღებული და ლამაზი შეტევებით ყოველთვის გაიმარჯვებ. საკმაოდ ფარღალალა დაცვა, მოულოდნელად უხეში შეცდომები (არც მეკარე უნდა იყოს მაინცდამაინც ზღაპრული), გაშვებული გოლები და ამოსაჭაჩი თამაში.

და ისინი ქაჩავენ ამ თამაშს. ანდა პირიქით, იგებენ და ვერ ინარჩუნებენ, შემდეგ კვლავ უტევენ. ახერხებენ საოცრად დატვირთული წუთების გათამაშებას მოედანზე და რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ახერხებენ გამარჯვებას. თან, არ დაივიწყოთ აფრიკული გულუბრყვილობა.

სიღრმეებიო, ტაქტიკური და სათამაშოო, იტყვის ვინმე. უდარდელობა და არასერიოზულობაო, დაუმატებს სხვა. მაგრამ ეს ხომ შავი აფრიკაა. შავი აფრიკის ყველაზე უფრო ვარსკვლავური გუნდი. ნიგერიელებზე უკეთ ორგანიზებული არიან კამერუნელები, მაროკოელები და სამხრეთ აფრიკელები, მაგრამ არც ერთ ამ ქვეყანას არ ჰყავს ნიგერიელთა დარი ფეხბურთელები.

ეს ქვეყანა სწორედ ფეხბურთელებით ქაჩავს.

არა, ბორა რა თქმა უნდა, ძალიან კარგი მწვრთნელია. ბორას ბევრი რამ შეუძლია, მაგრამ ნიგერიელებს ბორაზე ბევრად უსახელო მწვრთნელებიც ჰყოლიათ და საფეხბურთო საქმე მაინც გაუკეთებიათ.

ფეხბურთი ნიგერიის გულია. ამ ერს სხვა საყოველთაო სიხარული არ გაჩნია. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ნაკრების წევრები დაივიწყებენ ხოლმე თავიანთ მილიონებს, პირად პრინციპებს, უთანხმოებას და თამაშობენ. თამაშობენ ისე, როგორც უსწავლიათ. უსწავლიათ კი, როგორც ჩანს, საკმაოდ უცნაურად და თავისებურად, თითქოს ძველებურად.

ეს უცნაური და მიმზიდველი რამ არის — ნიგერია მსოფლიო ფეხბურთში.

და საერთოდ, ძალიან საინტერესოა, როგორ უნდა დაიმკვიდროს ფეხბურთის ცენტრებისგან საკმაოდ მოშორებულმა ქვეყანამ ადგილი ელიტაში?

თანაც ადგილიცაა და ადგილიც.

ნიგერიული ფეხბურთი რომ უკვე ფენომენია, ახლა აღარავინ დაობს.

სადავო და საინტერესო სხვაა: როგორ ითამაშებდა მექსიკის ნაკრები, მწვრთნელად რომ კვლავ ბორა ჰყოლოდა? ალბათ ისე, როგორც ეკადრება და ხელეწიფება მექსიკურ ფეხბურთს.

ამ ჭრილში ისევ ნიგერიაზე ვიტყვი: რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, როცა საუცხოო მწვრთნელი გყავს, მაგრამ არის გუნდები, რომლებსაც ვერ აკეთებენ და ვერ აფუჭებენ მწვრთნელები, რადგან ეს გუნდები თავისთავად არსებობენ. თავისთავად იშვნენ რაღაც გაუგებარ, თუ გასაგებ მიზეზთა გამო, თავიანთი ერის გულებიდან და მათი წახდენა, თუ აღზევება არც მწვრთნელებზე ჰკიდია და არც თაობებზე, არამედ, მხოლოდ ბედისწერაზე.

მგონია, რომ ნიგერიის ნაკრებიც ასეთია.

ის საოცრად ჰგავს ბედისწერას მინდობილ მებრძოლს და საათნახევარშიც ყველაფერს გადაიტანს ხოლმე: კიდეც აგებს, კიდეც იბრძვის, კიდეც შეცდება, კიდეც იჩხუბებს და კიდეც იეშმაკება. ბოლოს კი იმარჯვებს, ისე, როგორც რომელიმე დადებითი გმირი.

1996 წელს ჰოლანდიის დედაქალაქში ახალი სტადიონი გაიხსნა, რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც მეცნიერ-მკლევარებზე, ასევე რიგით გულშემატკივრებზეც. ნიდერლანდების არაერთგზის ჩემპიონისა და ერთ-ერთი წამყვანი კლუბის „აიაქსის“ ახალი სარბიელი „ამსტერდამ არენა“ ხომ ყოველგვარი მოსაზრებით მართლაც გრანდიოზული ნაგებობაა. სილამაზისა და კომფორტულობის გარდა ამ სტადიონს ერთი ისეთი რამ ჰქონდა, რაც მსოფლიოს არც ერთ სარბიელზე არ ენახათ. მექანიკურად მოძრავი სახურავი, აი, რა იყო „ამსტერდამ არენის“ გრანდიოზულობის საბაბი. მაგრამ ხალხმა ამ სიახლის ნორმალურად აღქმაც ვერ მოასწრო, რომ კვლავ დაუჯერებელი ნაგებობის მომსწრე შეიქნა. ამ წლის იანვარში საფრანგეთის დედაქალაქში ახლა უკვე კარგად ცნობილი „სტად დე ფრანსის“ გახსნის პრეზენტაცია მოეწყო. ფრანგების მიერ შემოთავაზებული სიახლის ორიგინალურობა იმაში მდგომარეობს, რომ სტადიონის ტრიბუნებზე დამონტაჟებული სკამები ასევე მექანიკურად მართვადია და

ARCHIVE

ისე ადვილად მისახვედრია, რომ ამგვარი ფუფუნება იაფი ნამდვილად არ არის. მაგალითად, ახალი სტადიონის აშენებამ მის მფლობელებს დამატებითი ხარჯები მოუტანა. ახლა მათ გადასახადების სახით 5 მილიონი გირვანქით მეტის გაღება მოუწევთ. თუმცა პოტენციური მოგება მართლაც უზარმაზარია და ასეთი პროექტების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში შემოსავალი ასტრონომიული ციფრებით გამოისახება. მაგალითად, 25 მარტს არნემში საფეხბურთო მატჩის შემდეგ სტადიონი სასწრაფოდ გადაწყვეს, მინდორი „გეერდზე გადაწიეს“ და „გელრედოუმზე“ პოპულარული ინგლისური ჯგუფი „სფაიზ გელზის“ ორი გრანდიოზული კონცერტის ჩატარება გახდა შესაძლებელი. არადა, სხვა შემთხვევაში ასეთი შოუს მოწყობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა, რადგან კონცერტების ჩატარებისას სტადიონზე მინდორი ითელება, რაც მეპატრონეთა დიდ უკმაყოფილებას იწვევს და ესეც რომ არ იყოს, კონცერტის მსვლელობისას ყოველთვის კარგი ამინდის უზრუნველყოფაც ხომ შეუძლებელია...

კიდევ ერთი საოცრება

სურვილისამებრ გადაადგილდება.

...და გულშემატკივრებმაც თავი სამოთხეში წარმოიდგინეს. მართლაც საუცხოოა, ზაფხულში, როცა საამო სიო უბერავს, ღია ტრიბუნებზე ზიხარ, გაავდრება და მშველელად საწვიმარისა და ქოლგის ნაცვლად გასაშლელ-დასაკეცი სახურავი გევლინება. ერთი პოზიციიდან ყურება მოგწყინდება და მეორეში გადაადგილდები. ასეთ კომფორტს ხომ თვით სიზმარშიც ვერ ვინატრებდითო, იფიქრებს მავანი. მაგრამ მათ რა იციან, რომ ტექნიკა ერთ ადგილზე არ ჩერდება. მეცნიერები მუდმივად ახლის ძიებაში არიან და ცდილობენ, კიდევ უფრო სრულყოფილი ქმნილებები დაუტოვონ შთამომავლობას. სულ რამდენიმე თვე გავიდა „სტად დე ფრანსის“ გახსნიდან და ახლა უკვე მთლად საოცარი რამ მოვლინა მსოფლიოს. რა თქმა უნდა, საუბარი ისევ საფეხბურთო მოედნის გაუმჯობესებაზეა, მაგრამ გადასაადგილებელ სახურავსა და სკამებს კიდევ ასე თუ ისე წარმოიდგენდა კაცი, მოძრაკი მინდორის გაგონებაზე კი იქნებ საკუთარ ყურებსაც კი არ დაუჯერო. არადა, მსოფლიოში პირველი სტადიონი გადასაადგილებელი მინდვრით დღეს უკვე რეალობაა. და იგი ტატების ქვეყანაში, ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქ არნემში მდებარეობს.

მოძრავი მინდორი სულაც არ გახლავთ არნემის ახალი 26 800 ადგილიანი „გელრედოუმის“ ერთადერთი ბრწყინვალება. მშენებლებს გადაუწყვეტიათ, სამომავლოდ ეს სარბიელი კიდევ უფრო სრულყოფილი გახადონ, თუმცა სანამ ამ ქალაქის ხელმძღვანელობა მორიგი სიახლით გაგვაკვირვებს, მანამდე მოძრავ მინდორს დავუბრუნდეთ და მის უნიკალურობაზე ვისაუბოროთ. „გელრედოუმი“, რომლის მშენებლობა 43 მილიონი გირვანქა დაჯდა, 1998 წლის 25 მარტს გაიხსნა ადგილობრივი „ვიტესისა“ და „ბრედას“ თამაშით. არნემის სარბიელი ერთ-ერთი იმ სტადიონთაგანი იქნება, რომლებზეც 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის მატჩები ჩაივლის, ხოლო თუკი „გელრედოუმი“ არქიტექტორთა ჩანაფიქრს გაამართლებს და ფინანსურადაც დიდი შემოსავლის მომტანი აღმოჩნდება, მაშინ იგი დასაბამს მისცემს სტადიონების ახალი თაობის დაბადებას, რომლებმაც თავიანთ ტრიბუნებზე უნდა იტვირთონ ახალი ათასწლეულის დასაწყისში გასამართი უცხელესი ბატალიების სიმძიმე.

სწორედ ეს გახლავთ მომრავმინდვრიანი სარბიელის უპირატესობა. გახსოვთ, ალბათ, 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ამერიკაში „პონტიაკ სილვერდოუმის“ დახურული არენა აშენდა. მას შემდეგ რამდენიმე კამპანია, იქ სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრების ჩატარების მიზნით შეეცადა მინდვრის გადაადგილებას. ამისათვის ისინი ათასგვარი ბორბლებსა და მისაბმელებს იყენებდნენ და თითოეული ამგვარი „ოპერაციის“ ჩატარება საკმაოდ ძვირი სიამოვნება გახლდათ. არნემის მინდორი კი 11-ტონიან ბეტონის ფუნდამენტზე დგას და ფოლადის საბჯენების მეშვეობით უმტკივნეულოდ დასრიალებს. ამ ბეტონის ფილის გვერდებზე ერთგვარი „მუთაქებია“ მიმაგრებული. მოედნის გადაადგილებას ოთხი საათი სჭირდება და იგი ჰიდრო-ელექტრული ძრავის საშუალების ხორციელდება. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ სად მიდის გაზონი? დაახლოებით 6 000 კვადრატული მეტრის ფართობის მწვანე მინდვრის ფილა ერთ-ერთი ტრიბუნის ქვემოთ იმალება, რის შემდეგაც იგი იკეტება. ამგვარად ფილისა და ტრიბუნის მასა ერთმანეთს აწონასწორებს. უსაფრთხოების ამ დამატებითი ზომის მიღება მას შემდეგ გახდა აუცილებელი, რაც გახსნის მატჩზე არენემის სტადიონზე მისულმა გულშემატკივრებმა ტრიბუნის ვიბრაციები იგრძნეს და პანიკაში ჩაცვივდნენ.

„გელრედოუმი“ უაღრესად მიმზიდველი რამაა, მაგრამ მსგავსი სტადიონების აშენება ყველგან როდია გამართლებული. არნემში სულ ხუთი საფეხბურთო არენაა, რომლებიც ფაქტობრივად ერთმანეთის კონკურენტები არიან. 25 მარტის შემდეგ კი ახალმა სარბიელმა ლიდერობა მყარად იგდო ხელთ. რაკი „გელრედოუმზე“ ფეხბურთის გარდა სპორტის სხვა სახეობებშიც ტარდება შეჯიბრებები, სტადიონის მესვეურები ადრინდელთან შედარებით წლიურად გაცილებით დიდ თანხას მიიებენ. თუმცა „ვიტესის“ პრეზიდენტი კარელ ალმერსის განცხადებით, იაპონელებსა და კორეელებს უკვე დაუგეგმავთ მსგავსი მინდვრების მოწყობა და ამ ქვეყნებში გასამართ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს ალბათ ახალი სტადიონებით შეხვდებიან. ანალოგიური სურვილი ასევე გერმანული „შალკესა“ და ინგლისური „ქოვენთრის“ მესვეურთაც გამოუთქვამთ.

ირაკლი ხმელიძე



აი, ასე გამოიყურება საოცნებო სარბიელი

ფედერაციას ჩემპიონატში თავისი გუნდი ჰყავს

ვინ თავკაცობს იმ გუნდს, რომელიც ჩემპიონატს მართავს?



ასე ნატანჯი ნუგზარ ნავაძე

იამანიძის №5. ჯონი ჯანელიძე, მწვრთნელი, რომლის გუნდსაც ორჯერ დააკლეს ხუთი ქულა, სულ კი 13 ქულით აზარალეს

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ორი წლის წინ, მაშინ, როცა თბილისის „მერანი“ პირველ ჯგუფში აღზევდა და ჩემპიონატის სტარტზევე რამდენიმე ძლიერი მეტოქე დაამარცხა, გონებაში ბევრს ერთმა აზრმა გაურბინა — აპა, ერთწლიანი გუნდები გვაკლდაო. ეგონათ, „მერანი“ ერთსეზონიანების სიას გააგრძელებდა. მერე პირველი წრე დასრულდა, მთლიანი ჩემპიონატიც. ტრანსპორტელთა კლუბი მეოთხე საფეხურზე დაფუძნდა. უეფას თასის საგზურსაც წაეთამაშა, მაგრამ „დინამომ“ არ გააბედინა. „მერანი“ ინტერტოტოს დასჯერდა, იქ კი ორჯერ მოიგო, ორჯერაც წააგო. საბოლოოდ არ შერცხვა, პირიქით, კარგი გუნდის სახელი დაიგდო. თუმცა, ვერ გეტყვით, მერანელთა პრეზიდენტმა ნუგზარ ნავაძემ ეს შედეგი არ იკმარა თუ სხვა მიზეზით, მწვრთნელ თემურ მახარაძესთან კონტრაქტი აღარ გააგრძელა. აი, სწორედ მაშინ ისევ ძველი გაიხსენეს, ხომ ვამბობდით, „მერანი“ ერთწლიანია, ფული აღარა აქვთ და ცოტა ხანში, ნახავთ, მწვრთნელს ფეხბურთელებიც მიპყვებიანო. ნურას უკაცრავად. მართალია, მახარაძესთან ერთად რამდენიმე ფეხბურთელმაც დატოვა გუნდი, მაგრამ ამათი შემცვლელებიც უმალ გამოჩნდნენ. გამოჩნდა მწვრთნელიც — გუნდი ჯონი ჯანელიძემ ჩაიბარა. გუნდის უფროსობა იგივე დარჩა, პრეზიდენტი კვლავ ნუგზარ ნავაძეა. ახალი სეზონი დაიწყო, „მერანი“ ძველებურ იშტაზე იყო. ხომ გაგიგიათ, მადა ჭამაში მოდისო. ისინი არც წლეულს ამბობდნენ უარს რომელიმე ევროსაგზურზე, თუმცა... „სინათლეს“ პირველ წრეში „ბათუმი“ ესტუმრა, მატჩის ბოლოს ერი ამბავი ატყდა, მსაჯი სილაგავა კინადამ ჩაქოლეს. სადისციპლინო კომიტეტის ვერდიქტი — „მერანს“ ხუთი ქულა ჩამოაკლეს. დაიწყო მეორე წრე. „სინათლეზე“ „კოლხეთი“ თამაშობდა, ისევ მატჩის ბოლო, ისევ ვაი-უშველებელი, ისევ მსაჯებზე გაწევ-გამოწევა, ისევ სასჯელი, ამჯამად ორქულიანი. მოკლედ, „მერანს“ შვიდი ქულა წაართვეს, ყოველივემ გუნდზე ფსიქოლოგიურად იმოქმედა. იყო სხვა მიზეზებიც, რომელთა გამოც გუნდმა ჩემპიონატი მეშვიდე ადგილზე ჩაამთავრა, მაგრამ უკვე სამუდამოდ გაბათილდა უსაფუძვლო სიტყვები, „მერანი“ ერთწლიანი გუნდიაო.

სეზონი ახალდამთავრებული იყო. ნუგზარ ნავაძეს შევეხმიანეთ, მიზეზი — ისევ მწვრთნელის ცვლილება. ჯანელიძესთან კონტრაქტი აღარ გაგრძელდა. გუნდი სერგო გაბელაიამ ჩაიბარა. ამიერიდან სწორედ იგი უთავკაცებს „მერანს“. მერე ხელმეორე ზარი. ნუგზარ ნავაძეს პარლამენტში, თავის სამუშაო ოთახში დავურეკეთ. მობრძანდით, რა პრობლემაა, ინტერვიუზე უარს როგორ გეტყვითო, გვიბასუხა. მივაკითხეთ და რაც ვისაუბრეთ, აგერ, ბატონო:

— გარიგებული თამაში ჩემი პრეზიდენტობის დროს გამორიცხულიაო, ესეც თქვით. კი, მაგრამ, შარშანდელ ჩემპიონატში, როცა „სინათლეზე“ „მერანი“ თსუ-ს მასპინძლობდა, ბევრს ამ თამაშის სიწმინდეში ეჭვი შეეპარა. თქვენ და თსუ-ს პრეზიდენტი მაშინ იტალიაში საქართველოს ნაკრებს ახლდით.

— კარგი ხანია, ამ თამაშზე მსგავსი ლაპარაკია. მართლაც იტალიაში ვიყავი, ხოლო როცა მატჩის ფირი ვნახე, საეჭვო ვერაფერი შევნიშნე. ვერც დავრწმუნდი, რომ თსუ-მ „მერანს“ თამაში მისცა. იმ დროს თსუ ნაღდად არ იყო ის გუნდი, „მერანისთვის“ დიდი წინააღმდეგობა გაეწია.

რაკი ეს მკითხეთ, ალბათ „მერანის“ სხვა თამაშებსაც იგულისხმებდით. არ მინდა, წარმოიდგინოთ, თითქოს ჩვენ ანგელოზები ვიყოთ. როცა გუნდი აღმავლობის გზაზეა, მისი ყველა მატჩი ყურადღების ცენტრშია. აფასებენ მეტოქის პოტენციას და ფიქრობენ, შეეძლო თუ არა „მერანთან“ მოგება. თსუ-თან თამაშისას, პირდაპირ გეტყვით, ნეგატიური მხარე არ არსებობდა. ყიდვა-მიცემას გამორიცხავ. უბრალოდ, ჩვენ მეტი სტიმული გვქონდა, ევროპას ვუმიზნებდით.

— ზემოთ მსაჯებზეც თქვით. „ბათუმთან“ და „კოლხეთთან“ „სინათლეზე“ აყალმაყალიც ატყდა. არბიტრებს რაღა ამოძრავებთ, ვინმე ხომ არ მართავს?

— კონკრეტულად რომ გითხრათ, ფედერაციაში დაავალეს მსაჯებს „მერანის“ „დაწვაო“, ეგებ არც იყოს მართალი. უბრალოდ, ფედერაციაში არის გუნდი, იგივე რამდენიმე მსაჯი, რომლებმაც ძალიან კარგად იციან, ვინ ვისადმია კეთილად განწყობილი და სად როგორ იმოქმედონიმუშაონ. მათ იციან, თამაშებზე ხელმძღვანელთა სიმპათიები ვისკენაა გადახრილი.

— ისევ დაყოფრეტებას გთხოვთ. ფედერაციის იმ გუნდის წევრთა გვარები გვაინტერესებს.

— მათი გვარები არაერთხელ დამისახელებია. იგივეს განმეორება არ მსურს. ვინ უნდა შეძლოს ეროვნული ჩემპიონატის გათამაშების პროცესის რეგულირება? ვისაც ეს ევალება და ვინც წარმართავს ამ პროცესს.

— ვინც წარმართავს ჩვენს ჩემპიონატს ეს, მაგალითად, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ნოდარ ანდრიაძემაც თქვა — მე ნაკრების საქმეები მაბარია, ეროვნული ჩემპიონატი კი გენერალური მდივნის საქმეაო. გენერალური მდივანი დავით კვინიკაძეა...

— ყველამ კარგად იცის, ვინ პირველი ვიოლინოა, ვინ — მეორე, ეს ისევეა ცნობილი თქვენთვის, როგორც ჩემთვის. შეიძლება, მეც ვცდებოდე, თქვენც, მაგრამ ის გუნდი რომ არეგულირებს პროცესს, ორი აზრი არ არსებობს.

— შვიდი ქულა იმიტომ ხომ არ მოაკლეს „მერანს“, რომ ფედერაციას არ აწყობდა მისი ევროპაში თამაში?

— არც ერთ შემთხვევაში არ გამოვრიცხავ, რომ „მერანის“ ევროტურნირებში მონაწილეობა ფედერაციას არ აწყობდა.

— თქვენ აღმასკომის წევრიც ბრძანდებოდით. უარი რატომ თქვით?

— ეს პირველ წრეში „ბათუმთან“ მომხდარი ინციდენტის შემდეგ მოხდა. მაშინ „მერანს“ ხუთი ქულა დააკლეს. არადა, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ იმ მატჩს მსაჯი მიკერძოებით სჯიდა (ელგუჯა სილაგავა — კ.ი.) მაშინ ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა დაადგინა — მსაჯმა მოედნიდან გასაძევებელი არ გააძევა, ხოლო ვინც წითელი ბარათის ღირსი არ იყო, სწორედ მას დაატოვებინა მინდორიო. ამის მერე მსაჯს ყურიც არ აუწიეს. რაღაზეა ლაპარაკი. აღმასკომშიც აღარ იყო ჩემი ადგილი. ამას რომ იმ გუნდს გაუკეთებენ, რომლის პრეზიდენტიც აღმასკომის წევრია, მაშინ სხვა გუნდებს რას უზამენ, თავად წარმოიდგინეთ. რა აზრი აქვს აღმასკომის ისეთ წევრობას, როცა კაცი თავის სიმართლეს ვერ ამტკიცებს. თუ დავინახავ, რომ ყრილობის შემდეგ აღმასკომში რაღაც სასიკეთოდ შეიცვლება, თუ ისევ მთხოვენ, სიამოვნებით დავთანხმდები, ისევ ძველებურად პრინციპული და შეურიგებელი ვიქნები ნაკლოვანი მხარეებისადმი. ახლანდელ აღმასკომში კი არ დავბრუნდები.

— კარგით, ახლა „სინათლეზე“ ვთქვათ. სწორედ იქ მომხდარი ინციდენტების გამო დარჩით ქულანაკლულნი. მეორე წრის საწყისი თამაშები ვაკეში რატომ ითამაშეთ?

— იმიტომ, რომ „სინათლეზე“ ბალახი არ იყო ამოსული. რაც შეეხება ინციდენტს. რა თქმა უნდა, ჩვენს გულშემატკივარს არ ვამართლებ, მაგრამ მეორეცაა — სხვაგან მსგავსი აყალმაყალისთვის ფედერაციის მუშაკები რეაგირებას არ ახდენენ. „მერანს“ სწირავენ. საერთოდ, ხუთი ქულის ჩამორთმევის პრინციპი ყოველად გაუმართლებლად მიმაჩნია. არც ერთ სხვა ქვეყანაში მსგავსი არ არსებობს. ყოველივე სატურნირო ცხრილში გუნდების განლაგების რეგულირებისთვისაა მოგონილი. სხვათა შორის, გეტყვით, რომ, როცა „კოლხეთთან“ „სინათლეზე“ მატჩის ვიდეოფირი ვნახეთ, იქ კარგად ჩანს, პიროვნება, რომელმაც მსაჯი ფიზიკურად შეურაცხყო, ფოთელთა გატანილი მეორე გოლის მერე სიხარულს ვერ მალავს. მის გამო კი „მერანი“ დაისაჯა. ეს წესი გასაუქმებელია და დარწმუნებული ვარ, ფედერაციაში მოვა ხალხი, რომელიც ასეთ შეცდომას აღარ გაიმეორებს, ამ წესს გააუქმებს.

— ასე დარწმუნებული რად ბრძანდებით?

— იმედი მაქვს, ყრილობა საქმიანი და ობიექტური იქნება. ფედერაციის სათავეში მისლის მსურველები კი იძულებულნი იქნებიან, გულშემატკივართა, ჟურნალისტთა, სპეციალისტთა შენიშვნები გაითვალისწინონ. უკვე არავინ აღარაფერს მალავს. ჟურნალისტებს ამ საქმეში დიდი წვლილი მიგიძღვით. ამიტომაც ვამბობ დარწმუნებით, რომ იმ უაზრო წესს გააუქმებენ.

— პრეზიდენტობას თავად ხომ არ აპირებთ?

— გამორიცხული არაფერია, ისევე, როგორც ჩემი მომავალი პრეზიდენტობა. თუმცა მრავალ გარემოებათა გამო ჯერ თავს ვიკავებ. მე მაქვს საკმაოდ სოლიდური სამსახური (ნუგზარ ნავაძე პარლამენტარია — კ.ი.), ასე თუ ისე, ჩემი ადგილიც ვიპოვე დღევანდელ ყოფაში. საპრეზიდენტო კანდიდატურის წამოსაყენებლად კი ბევრი ფიქრია საჭირო. მომავალმა პრეზიდენტმა ხალხს გარანტია უნდა მისცეს, რომ მის ხელში ქართული ფეხბურთი აღორძინდება. უცხოური ინვესტიციებია საამისოდ საჭირო. ქვეყანას ძალიან უჭირს და არა მაქვს დიდი იმედი, რომ სახელმწიფო ფეხბურთს მნიშვნელოვნად შეეწევა. ვინც ფედერაციის სათავეში იქნება, იცოდეს, მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობას დაიკავებს. ფეხბურთის საკეთილდღეო გარანტიაა საჭირო, ასეთი პირობის დადება კი ძალიან ძნელია. მე სხვაზე ნაკლებად არ შემიძლია ეს საქმე ვიტვირთო, მაგრამ მაინც თავს ვიკავებ. დიდი პიროვნების, ბატონ ალექსანდრე ჩიკვაძის საწინააღმდეგოდ ჩემს კანდიდატურას ვერ წამოვაყენებ. ხოლო თუ დავინახავ, რომ პრეზიდენტობა უქნარა ხალხს მოუნდა, ისეთებს, რომლებიც მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობენ, მაშინ კანდიდატურასაც წამოვაყენებ. ეს არც ყრილობის დღეს იქნება დაგვიანებული.

— ყრილობაზე ხმას ჩივაძეს მისცემთ?

— ესეც საფიქრალია. საერთოდ, ხმის მიცემის პროცესი ყველა ქვეყანაში ფარულად მიმდინარეობს, ჩვენში ღია კენჭისყრაა. თუმცა ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, მე ჩემს ფავორიტს მაინც ყველას გავუმხელდი. ახლა კი, ამომრჩევლის უფლებით ვისარგებლებ და არაფერს გეტყვით, უფრო სწორად, ვერ გეტყვით, არ გადამიწყვეტია.

— ისევ „მერანს“ დავუბრუნდეთ. ყოველი სეზონის შემდეგ მწვრთნელის ცვლილება თქვენი ტაქტიკური ჩანაფიქრია?

— არა. მიზეზი ელემენტარულია. წლის ბოლოს, შედეგებს რომ ვაჯამებთ, მწვრთნელთა მუშაობაში შეცდომებს ვპოულობთ და ყოველგვარი გართულებების გარეშე ერთმანეთთან განშორებას ვამჯობინებთ. მიზეზი სწორედ ეგაა. არც მახარაძის გუნდიდან წასვლაში, არც ჯანელიძის გაბელაიათი შეცვლაში არ არის რაიმე არაჩვეულებრივი. ბუნებრივი მოვლენაა. მიმაჩნია, რომ სწორი გადაწყვეტილებები მივიღეთ, როცა მახარაძესთან და ჯანელიძესთან კონტრაქტები აღარ გავაგრძელეთ.

— ჯონი ჯანელიძესთან არავითარი უთანხმოება არ მოგსვლიათ?

— მწვრთნელი ვერ იტყვის, „მერანმა“ პირობები არ დამიკმაყოფილაო. რაც ეკუთვნოდა, იმაზე მეტიც კი მიიღო. მას უკეთესი სამუშაო აძლევდა ხელს და კონტრაქტიც აღარ გავაგრძელეთ. თავადაც თქვა, „მერანით“ კმაყოფილი ვარო. ახლა ღმერთმა ხელი მოუმართოს.

— გაბელაიას მწვრთნელობა რამ განაპირობა?

— ფილიას, მახარაძისა და ჯანელიძის თანაშემწეობით მან საკმაო გამოცდილება მიიღო. მერამდენე წელია, იგი ჩვენს გუნდშია და ახლა ან „მერანიდან“ უნდა გაგვეშვა, ანაც გუნდი ჩაგვებარებინა. როცა სერგო გაბელაიას მწვრთნელის თანამდებობაზე ვნიშნავდით, დარწმუნებული ვიყავი, არ მომატყუებდა, არ მიღალატებდა, ეჭვის საბაბს არ მომცემდა. ჰოდა, გადავდგით ეს ნაბიჯი.

— თქვენი სიტყვები გვაფიქრებინებს, რომ მახარაძე და ჯანელიძე გატყუებდნენ, თუნდაც გიღალატეს.

— ეს თქვენ განსაზღვრეთ. როგორც გნებავთ, ისე გაიგეთ.

— საევროპო იშტაზე კიდევ ხართ?

— გაჩნია გუნდს. დღეისთვის „მერანში“ 40-მდე ფეხბურთელი ვარჯიშობს. კიდევ ბევრს აქვს ჩვენთან თამაშის სურვილი. ამათგან საუკეთესოებს შევარჩევთ და ვნახოთ. შეკრებილი ბიჭების პოტენციიდან გამომდინარე გეტყვით, რას ვგეგმავთ. ეს სეზონის წინ იქნება. აბა, ახლა ჩამოუყალიბებელია გუნდი და გეგმებზე ვთქვა? რაც მოსალოდნელია, იმას ვამბობ, ჯერ კი გაურკვევლობაა, მოთამაშეთა ბირთვი უცნობია, ეს რომ დადგინდება, დანარჩენიც მერე იყოს.

— ფინანსებზეც ვერ გვეტყვით?

— ყველაფერი რიგზეა. სერიოზულად არ გვიჭირს. ჯერ შემთხვევა არ ყოფილა, ვინმესთვის ერთი ლარი დაგვეკლოს, ან დაგვეგვიანებინოს. „მერანში“ რომ საქმე სხვანაირად იყოს, ამდენი ფეხბურთელიც არ ისურვებდა ჩვენთან თამაშს.

ძოგა ინასარიძე

ჩვენი ირლანდია აფრიკაშია

ქართველ მორაგბეთა მეტოქემ მსოფლიო თასის შესარჩევ ჯგუფში, ირლანდიის ნაკრებმა ტესტი გამართა ბლუმფონტეინში სამხრეთ აფრიკელებთან და 13:47 წააგო. აფრიკელები არცთუ ჯიგრიანად ირჯებოდნენ და პირველი ნახევარი მხოლოდ 13:10 მოიგეს, რის შემდეგაც სტადიონზე შეყრილმა 30 ათასმა კაცმა თავის გუნდს უსტვინა.

ირლანდიელთაგან ერთადერთი ლელო ჯასტინ ბიშოპმა გაიტანა.

გუნდების მეორე ტესტი პრეტორიაში შედგება 20 ივნისს.

ირლანდიელთა შემადგენლობა ამ შეხვედრაში ასეთი იყო: კონორ ოშია, ჯასტინ ბიშოპი, კევინ მეგსი, მარკ მაკკოლი, დენის ჰიკი, ერიკ ილვუდი, კონორ მაკგინესი, ვიკტორ კოსტელო (ტრევორ ბრენანი 67), ენდი უორდი, დიონ ოკანეგეინი, მალკოლმ ოკელი, ჰედი ჯონსი (გებრიელ ფალჩერი (კაპ) 71), პოლ უოლესი, კიტ ვუდი, ჯასტინ ფიცპატრიკი.

ჭადრაკის სასახლეში დასრულდა ელისტის ოლიმპიადისთვის საქართველოს ქალთა ნაკრების წევრობის კანდიდატთა პირველი შესარჩევი მატჩი ნინო ხურციძესა და მაია ლომინეიშვილს შორის. ხურციძემ 2,5:1,5 გაიმარჯვა და მეორე მატჩში მისი მეტოქე ქართული ჭადრაკის ერთ-ერთი GRANDE DAME ნინო გურიელი იქნება. 25 ივნისს საბოლოოდ გავიგებთ, ვის ექნება სექტემბერში ყალმუხეთის ტრამლთა და ბათოყაენის ვიწროთვალება შთამომავლების ხილვის ბედნიერება.

ნინო ორია, ელისტა ერთი

ხურციძისა და ლომინეიშვილის მატჩში ყველაფერი ბოლო, მეოთხე პარტიამ გადაწყვიტა. პარტიის დებიუტი მინიმალური გაცვლებით გათამაშდა და როქიც მეტოქეებმა სხვადასხვა მხარეს გააკეთეს, რაც უმძაფრეს ბრძოლას მოასწავებდა. პირველად ვითარება მე-20 სვლაზე გამწვავდა, როცა შავებით მოთამაშე ხურციძემ თეთრებს ცენტრალური პაიკი შესწირა და მეტოქის მეფის დასალაშქრად ძალთა თავმოყრას შეუდგა. ლომინეიშვილმა დაცვის უზადო ტექნიკა გამოამჟღავნა და დიდი მცდელობის მიუხედავად შავებმა ვერ მოახერხეს თამაშის სიმძიმე მეფის ფრთაზე გადაეტანათ. ომის ეპიცენტრად ისევ ცენტრი დარჩა. აქ გამართული გრანდიოზული ბრძოლის შედეგად მხარეებმა რამდენიმე ფიგურა გაცვალეს და შავების შემტევი პოტენციალიც ამით ამოიწურა. ლომინეიშვილმა ლაზიერის ფრთაზე ელვისებური კონტრშეტევა წამოიწყო, რათა შავი მეფე როგორმე რეზერვების მიღებამდე გამოეჭირა. ამ მიზნით ორ პაიკში ჯანმრთელი კუც დაუთმო მეტოქეს, რის შემდეგაც დაფაზე მატერიალური წონასწორობა კი აღდგა, მაგრამ ლომინეიშვილმა ერთბაშად სამი (!) გამსვლელი პაიკი მიიღო, რომელთაგან ერთ-ერთი კისრისტეხით გაქანდა მერვე ჰორიზონტალისკენ, რათა ბრძოლისთვის დროულად დაესვა წერტილი. მაგრამ, აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო და სულსწრაფი თეთრი პაიკიც ზედ ფინიშთან მიასიკვდილეს. ამ დროისთვის შავებმა მეფის ფრთიდან დამხმარე ძალებიც მიიღეს და თავიანთი მეფის მოტიტვლებული პოზიციები საიმედოდ გაამაგრეს. შავი ლაზიერის დამაგვირგვინებელმა მანევრმა პარტიისა და მატჩის ბედი ხურციძის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

მეორე შესარჩევი მატჩის დაწყება 18 ივნისსაა ნავარაუდევი.

დავით გულუა

ჰინგისმა გრაფი მწარედ დაჯჭრა

ბირმინგემი. ინგლისი. DFS კლასიკი. ტარდება ბალახზე საპრიზო 165 ათასი $

მეოთხედფინალი: იაუკ ბაზუკი (6, ინდონეზია) — ირინა სპირლეა (2, რუმინეთი) 6:4, 5:7, 7:5; ნატალი ტოზია (3, საფრანგეთი) — კერი-ენ გიუზი (ავსტრალია) 6:2, 6:3; ელენა ლიხოვცევა (7, რუსეთი) — დომინიკ ვან რუსტი (4, ბელგია) 6:3, 6:4; შტეფი გრაფი (1, გერმანია) — მაუი სერნა (8, ესპანეთი) 6:4, 6:4

შტეფი გრაფი

შტეფი გრაფის დაბრუნება-არდაბრუნებაზე უკვე ათასჯერ თქმულა და დაწერილა, ჰოდა, დიდმა გერმანელმა, ეტყობა, ერთითაც არაფერი დაგაკლდებათო, იფიქრა და ლაზარესგან განსხვავებით, მესამედ თუ მეოთხედ აღდგომაც მოახერხა. შტეფი ამ კვირაში მორიგი ტრავმით გამოწვეული სამთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ კიდევ ერთხელ დაუბრუნდა კორტებს და თავის საყვარელ ბალახის საფარზე ისევ ძველებურად გაუტია, ანუ მოგებას მოგება მიაყოლა.

მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს პირველ წრეში ავსტრალიელ რენე სტაბსთან ერთობ გაუჭირდა და მოსაგებად სამი ხელიც დასჭირდა, მაგრამ მერე და მერე ძველებურად გაყოჩაღდა და მეოთხედფინალში როლან გაროსზე მარი პირსის მძლეველ 19 წლის ესპანელ მაუი სერნას უფრო იოლად, 6:4, 6:4 აჯობა. „მეგონა, აქ ორ მატჩზე მეტის თამაში არ მომიწევდა, ასე რომ, უკვე გაცილებით მეტს მივაღწიე, ვიდრე ველოდი. ცოტა კუნთები მტკივა, თორემ ისე თავს შესანიშნავად ვგრძნობ“ — განაცხადა პრესკონფერენციაზე გახარებულმა შტეფიმ, რომელსაც უიმბლდონზე წარმატებით გამოსასვლელად დამატებითი სტიმული მსოფლიოს ახლანდელმა პირველმა ჩოგანმა მარტინა ჰინგისმა გაუჩინა. 17 წლის შვეიცარიელმა ერთ-ერთ ინტერვიუშო გერმანელი მეტად უდიერად მოიხსენია, მაგ ბებრის დრო წასულია, ახლა უფრო სწრაფ და ათლეტურ ჩოგბურთს თამაშობენო.

ახლანდელ დროში რა დაიმალება და, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა პრესკონფერენციაზე გერმანელს პირდაპირ მიახალა ჰინგისის ნათქვამი. შტეფი ძალიან ანერვიულდა, მაგრამ პასუხი მაინც დალაგებულად გასცა: „ყველაფერი უიმბლდონზე გაირკვევა. მე ცდას არ დავაკლებ, მაგრამ თუ კარიერის დასრულება მიწერია, უიმბლდონზე უკეთეს ადგილს სად ვნახავდი“.

'98 NHL Playoffs

ფინალი

ვაშინგტონი 0 დეტროიტი 3

13 ივნისი

ვაშინგტონი — დეტროიტი 1:2

0:1, 0:0, 1:1

შაიბები: ჰოლმსტრიომი 7 (აიზერმანი, მაკარტი 1) (0:1), ბელოუზი 5 (ოუთსი, ჟიუნო 51) (1:1), ფიოდოროვი 10 (დ. ბრაუნი, ფეტისოვი 56) (1:2)

ვაშინგტონელ ესა ტიკანენს ფინალური სერიის მეორე მატჩი ალბათ კარგა ხანს ემახსოვრება. 51-ე წუთზე, როცა დედაქალაქელები 4:3 იგებდნენ, ამ გამოცდილმა საპლეიოფო მებრძოლმა, თასის ნ-ექვსეზის მფლობელმა, დეტროიტელი მცველი და მეკარე ჩამოიშორა და სულ რაღაც ორიოდე მეტრიდან ცარიელ კარში შაიბის შეგდება ვერ მოახერხა. ეს გოლი ხომ „კეპიტალსს“ უდიდეს ფსიქოლოგიურ უპირატესობას მიანიჭებდა, მეტოქემ კი „რკინის ფინელს“ შეცდომა არ აპატია და ოვერტაიმში თავისას მიაღწია. ამან, ალბათ, სერიის ბედიც გადაწყვიტა, მით უმეტეს, რომ მერე, ვაშინგტონში, „წითელფრთიანებმა“ კიდევ ერთი დამსახურებული გამარჯვება მითვალეს და ზედიზედ მეორედ თასის მოგებაც, ფაქტობრივად, გაინაღდეს. ლიგის ისტორიაში მხოლოდ ერთი გუნდია, 0:3-ზე ფინალური ეტაპის ბედის შებრუნება რომ შეძლო (ტორონტომ 1942 წელს ისევ და ისევ დეტროიტს სძლია).

საინტერესოა, რომ ამ პლეი ოფში „წითელფრთიანებს“ კარგად დაებედათ ანგარიშის გახსნა. ეს თითქმის ყოველთვის გამარჯვების საწინდარი ხდება (13-დან ერთადერთი მარცხი).

სტუმრებმა ახლაც, მესამე მატჩში, ხელთ იგდეს ინიციატივა, მაგრამ, ალბათ, თავადაც არ ეგონათ, თუ ასე სწრაფად, უკვე 35-ე წამზე დაწინაურდებოდნენ. გუნდის კაპიტანი სტივ აიზერმანი, რომელიც ზედიზედ ორი წელია, ფინალურ შეხვედრებში უქულოდ არ რჩება, ვაშინგტონელთა ზონაში შეიჭრა, მცველებს ორთაბრძოლაში აჯობა და დარტყა, ასხლეტილ შაიბას კი ჰოლმსტრიომმა მიუსწრო. მოვლენების ასეთმა განვითარებამ სულ მთლად გატეხა ისედაც დაბნეული დედაქალაქელები და პირველ პერიოდში ისინი თავიანთ ზონას მიეჯაჭვნენ. დეტროიტელებმა კი, რომელთაც უდიდესი უპირატესობა გოლად ვერ აქციეს, მეორე მესამედი, როგორც ფინალში სჩვევიათ, უფრო სუსტად ჩაატარეს და ბედს უნდა უმადლოდნენ, რომ მათი მეკარე კრის ოსგუდი ამჯერად საბრძოლოდ იყო განწყობილი. მართალია, მასპინძლებმა ბოლო პერიოდში ანგარიში მაინც გაათანაბრეს, მაგრამ მაშინ, როცა საქმე თითქოს ოვერტაიმისკენ მიდიოდა, მაყურებელს ლიგის უძვირფასესმა ჰოკეისტმა სერგეი ფიოდოროვმა შეახსენა თავი. მილიონერ რუსს კონფერენციის ფინალში რატომღაც უიღბლობა დასჩემდა და მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველ მატჩში პარტნიორებს იცვლის, თამაში მაინც არ მისდის. ახლა კი ფორვარდი, როგორც იქნა, გამოცოცხლდა და ულამაზესი შაიბაც შეაგდო, რასაც მასპინძლებმა ვერაფერით უპასუხეს. ასე რომ, დეტროიტელები ძალიან ახლოს არიან თავიანთი მეორე თასთან, თუმცა, მათი წამყვანი მცველის ნიკლას ლიდსტრიომის თქმით, „წითელფრთიანებს“ შარშან ყველაზე მეტად სწორედ ბოლო მატჩში გაუჭირდათ.

სამფელ ღარიბიანი

ვაშინგტონს გოძილად წოდებულმა მეკარე კოლციგმაც ვერ უშველა

ფიოდოროვს მეგობრები არ ავიწყდება

სერგეი ფიოდოროვი

დეტროიტის მცველ ვლადიმერ კონსტანტინოვისა და მასაჟისტ სერგეი მნაცაკანოვის ავტოკატასტროფიდან ერთმა წელმა განელო. ამ ტრაგედიით გულდათუთქულმა სერგეი ფიოდოროვმა დაზარალებული მეგობრების გახარება მოინდომა და ჰაამისო საბაბიც გაუჩნდა. 1998 წლის 13 ივნისს „წითელფრთიანთა“ ცენტრფორვარდმა ფინალის მესამე შეხვედრაში გადამწყვეტი გოლი გაიტანა, იღბლიანი შაიბა მატჩის დამთავრებისთანავე მოიხელთა და განაცხადა, ჯერ გავიფიქრე, ეს სუვენირი შემენახა, მაგრამ მერე ვლადი და სერგეი გამახსენდნენ და გადავწყვიტე შაიბა რომელიმე მათგანს ვაჩუქო.

1968 წლიდან მოეოლებული ვაშინგტონი მეორე გუნდია, რომელმაც ფინალების ერთ ჰერიოდში მეტოქის კარში ერთადერთხელ დაარტყა. ჰირველად, 1995 წელს, დეტროიტმა „იმარჯვა“ ნიუ ჯერსისთან სერიაში.

* * *

ბოლო ოთხნახევარი წელია დეტროიტი ვაშინგტონისთვის უველაზე უხერხული მეტოქეა: 10 მატჩში 9 მარცხი და 1 ფრე.

* * *

დეტროიტი 1956 წლის შემდეგ ჰირველი გუნდია, რომელმაც ბოლო ჰერიოდში ორშაიბიანი სხვაობა გაქვითა და გაიმარჯვა.

* * *

ფინალის მეორე მატჩში დეტროიტელთა 60 დარტყმა 3-ით ჩამორჩება ლიგის რეკორდს, რომელიც 1996 წელს ფლორიდამ კოლორადოსთან მეოთხე შეხვედრაში დაამყარა.

* * *

თუ დეტროიტი მეოთხე მატჩსაც მოიგებს, მეორე გუნდი იქნება, რომელიც ფინალში ზედიზედ მეორედ გადის და სერიაშიც „შშრალი“ ანგარიშით იმარჯვებს. ჰირველად, 1982-83 წლებში, ეს აიღენდერსმა მოახერხა.

რა უნდა ფეტისოვს პენსიაში?

დეტროიტის უხუცესი მცველი ვიაჩესლავ ფეტისოვი ნჰლ-ის ისტორიაში მეხუთე ჰოკეისტია („დიდი ექვსეულის“ დროების შემდეგ), რომელიც თასის ფინალში 40 წლისა გავიდა. იგი მხოლოდ წარსულის მიღწევების გამო როდია კლუბში — რუსი ვეტერანი ახლაც დაცვის ერთ-ერთი ბურჯია და „წითელფრთიანთა“ გენერალური მენეჯერის კენ ჰოლანდის თქმით, შაიბის ბრწყინვალედ ფლობისა და პირველი პასის გარდა უჩვეულო ბრძოლისუნარიანობითაც გამოირჩევა.

სამპრასი და რუზეცკი მოსრიალდნენ

ლონდონი. ინგლისი. სტელა არტუას ჩემპიონატი. ტარდება ბალახზე საპრიზო 725 ათასი $

სტელა არტუას ჩემპიონატი, რომელსაც ჩოგბურთის მოყვარულები უფრო ქუინსის სახელით იცნობენ, სეზონის მესამე დიდი სლემის ტურნირის, უიმბლდონის გენერალურ რეპეტიციად ითვლება და ლონდონის პრესტიჟით მეორე საჩოგბურთო კლუბში სათამაშოდ აგერ უკვე მერამდენედ თითქმის ყველა სახელიანიც შეიკრიბა.

თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ კორტების ხარისხი სამაგალითოდ ნამდვილად არ ჩაითვლება: ბევრმა მონაწილემ აქ თამაში სრიალა საფარის გამო სახიფათოდაც კი მიიჩნია, ინგლისელთა მთავარი იმედი, ექს-კანადელი გრეგ რუზეცკი კი მეტისმეტ მონდომებას კინაღამ ემსხვერპლა კიდეც — მსოფლიოში უსწრაფესი მოწოდების პატრონი მერვედფინალში ბელგიელ ლორანს ტილმანთან შეხვედრისას წაიქცა, კოჭი იტკინა და ისე იღრიალა, ხალხი მეზობელი კორტებიდან მოვარდა. ტრავმის სიმძიმე ჯერჯერობით არ გარკვეულა, თუმცა ექიმების განცხადებით, გრეგს უიმბლდონზე ასპრეზობის 50 პროცენტზე ნაკლები შანსი აქვს.

რაც შეეხება ზემოხსენებულ ტილმანს, 25 წლის ტურნირის აღმოჩენა (მსოფლიოს 253-ე ჩოგანი) ამაზე არ გაჩერებულა და რუზეცკის მასპინძელთა მეორე კერპი ტიმ ჰენმანიც მიაყოლა მეოთხედფინალში, ოღონდ ამჯერად ალალად და უსაყვედუროდ 2:6, 7:6 (9:7), 6:4.

ტურნირის ყველაზე დიდ სენსაციად კი მსოფლიოს პირველი ჩოგნის პიტ სამპრასის მარცხი იქცა. ამერიკელმა მანამდე ზედიზედ ათ პირად შეხვედრაში დამარცხებულ უფროს „ვუდს“ — ავსტრალიელ მარკ ვუდფორდს ვერაფერი მოუხერხა 3:6, 2:6 და ისე განაწყენდა, მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზეც არ გამოცხადდა, რისთვისაც ჯარიმასაც გამოჰკრა ხელი. ვუდფორდს კითხვებზე პასუხი, რაღა თქმა უნდა, არ დაზარებია: „ეტყობა, პიტს მოსწყენდა ჩემს წინააღმდეგ კარგად თამაში. ასეთი სკალპის მოპოვებას არაფერი ჯობს, მიუხედავად იმისა, რომ მას ახლა აშკარად ცუდი დრო უდგას“.

შავი დღე სამპრასის გარდა ვუდფორდის თანამემამულეებსაც დაადგათ. პირველივე წრეში ესპანელ ხორდი ბურილოსთან დამარცხების შემდეგ მარკ ფილიპუსისი გამოტყდა, თავს ისე ცუდად ვგრძნობ, შეიძლება უიმბლდონზე არც კი ვითამაშო, აზრი არა აქვს, მაშინვე წავაგებო: „ეს წელი ჩემთვის საშინლად მიდის. მესმის, როდესაც სხვები დროებით ჩავარდნაზე ჩივიან, მაგრამ ჩემი ჩავარდნა მთელი სეზონი გრძელდება, თითქოს მოგების სურვილი გამიქრა, ძალიან დაბნეული ვარ“.

კიდევ უფრო უჟმურ ხასიათზე გახლდათ თანამემამულე სკოტ დრეიპერთან მარცხის შემდეგ ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებული პატრიკ რაფტერი: „კარიერაში ასე ცუდად, ალბათ, არასოდეს მითამაშია. საკუთარი თავის რწმენა აბსოლუტურად დაკარგული მაქვს. თუ რამე არ ვიღონე, მალე აღარაფერი მიშველის“.

პიტ სამპრასი

მეოთხედფინალი: მარკ ვუდფორდი — ტომას ენკვისტი (8, შვედეთი) 6:3, 1:6, 6:2; სკოტ დრეიპერი — დუგ ფლეში (აშშ) 7:6 (9:7), 7:6 (7:5); ბაირონ ბლეიქი (14, ზიმბაბვე) — ბრაიან მაკფი (აშშ) 7:5, 6:1

ავთანდილ სვანიძე

მარადონა დეპრესიაშია, ბატისტუტა ხალხს ახარებს

სკანდალური გამოხდომებით ცნობილმა დიეგო მარადონამ საფრანგეთში წასვლა გადაწყვიტა, რათა მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებს კომენტარი გაუკეთოს. როგორც ამბობენ, ეს მხოლოდ ენთუზიაზმით არ ყოფილა გამოწვეული. საქმე იმაშია, რომ ამ ორი წლის წინ მარადონა მორიგ სკანდალში გაეხვია — მისთვის ინტერვიუს ჩამოსართმევად მისულმა ჟურნალისტებმა, ეტყობა, ნერვები მოუშალეს, მანაც არ დაახანა და პრესის წარმომადგენლებს გაზის იარაღიდან ცეცხლი გაუხსნა. შედეგად ერთ-ერთი მათგანი დაიჭრა და, ბუნებრივია, სასამართლოში სარჩელი შეიტანა. სწორედ ეს საქმე დასრულდა ამ დღეებში არგენტინაში. ადგილობრივმა თემიდას მსახურებმა ასეთი ვერდიქტი გამოიტანეს — მიესაჯოს დიეგო არმანდო მარადონას 2 წლით და 10 თვით პირობითი პატიმრობა. დეპრესიაში მყოფ ფეხბურთელს, ალბათ, ამ ამბავმაც უბიძგა, საფრანგეთში გამგზავრებულიყო.

ამ დროს კი არგენტინელი ხალხი თავიანთი კერპების პირველ გამარჯვებას დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნავდა. ბუენოს აირესის ქუჩები გულშემატკივრებით აივსო, ხოლო ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მდებარე ძეგლის გარშემო ასობით წყვილმა ტანგოს ცეკვაც კი გააჩაღა. ენითაუწერელი სიხარული გამოიწვია გაბრიელ ბატისტუტას გოლმა მის მშობლიურ ქალაქ რეკონკუისტაში, სადაც საფინალო სასტვენს ხალხი ფეიერვერკებით შეხვდა. „რა მშვენიერი გოლია! აი, ნამდვილი ბატისტუტა!“ — ეს სიტყვები ფორვარდის მიერ გატანილი გოლის შემდეგ აღფრთოვანებულმა არგენტინის პრეზიდენტმა კარლოს მენემმა წარმოთქვა.

REUTERS ბუენოს აირესიდან

არა არს დაფარული, რომელიც არ გაცხადდეს — ამბობს სახარება, არა არს დანაშაული, რომელიც დაუსჯელი დარჩეს — ამბობს არგენტინული თემიდა. დიეგოს კი, სასამართლო დარბაზიდან გამოსულსაც გულშემატკივრები ავტოგრაფებს თხოვდნენ

რად მოკალით, ბიჭებო, პრეზიდენტი აბაჩა?

ლაგოსი ნიგერიის უდიდესი ქალაქია, სადაც ასეულობით ახალგაზრდამ მოაწყო დემონსტრაცია მას მერე, რაც ქვეყნის ნაკრებმა მსოფლიოს პირველობაზე საოცარ ბრძოლაში დაამარცხა ესპანეთის გუნდი.

ფეხბურთელთა გამარჯვებით გამოწვეულმა სიხარულმა სრულიად დაჩრდილა დიქტატორ სანი აბაჩას სიკვდილით გამოწვეული გლოვაცა და დისიდენტთა ანტისამთავრობო გამოსვლაც, რომელშიც დაახლოებით 200 ადამიანი მონაწილეობდა.

„როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, გაირკვა, რომ ფეხბურთი ყველაფერზე გაცილებით მნიშვნელოვანია, ამიტომაც სამხედრო რეჟიმს შეუძლია სულ წავიდეს აქედან“ — თქვა ლუდით შემთვრალმა მოზეიმემ ვიკტორ იკპეიმმ, რომელიც ლაგოსის ცენტრში ხარობდა.

როგორც იცით, ნიგერიამ ნანტში ესპანეთს 3:2 მოუგო.

არადა ოფიციალურად ქვეყანაში აბაჩას დასტირიან. აბაჩა ის კაცი გახლდათ, რომელიც 1993 წლიდან დიქტატორობდა ნიგერიაში. იმავდროულად გენერალი ფეხბურთის დიდი ტრფიალი გახლდათ და ყველა ღონეს ხმარობდა, რათა სპორტის ეს სახეობა დაეწინაურებინა.

ახლა ქვეყანაში აბდულსალამ აბუბაკარი გახდა პირველი კაცი და მივიდა თუ არა კაბინეტში, საფრანგეთს დეპეშა აფრინა, ფეხბურთელებს ერის სულიერი მდგომარეობის აღზევება უსურვა.

„თქვენ არ უნდა გაგვაწბილოთ, რამეთუ მარცხი ეროვნული სულის დათრგუნვას გამოიწვევს“ — ეწერა აბუბაკარის დეპეშაში.

აი, ოპოზიციონერები კი სხვაგვარად ფიქრობენ. მათმა გაზეთმა დაწერა: „აბაჩა ჯერაც ცოცხალი იქნებოდა „სუპერარწივებს“ ჩემპიონატის წინ, ამხანაგურ თამაშებში დიდი ანგარიშით რომ არ წაეგოთ. რეჟიმის ბედი მართლაც იყო დამოკიდებული ფეხბურთზე, იმაზე, თუ ვის მიიყვანდნენ ნაკრების მწვრთნელად და რა შემადგენლობით ითამაშებდა გუნდი“.

REUTERS ლანსიდან

ბლანკოს ნახტომმა მსოფლიო გააახალისა

სააგენტო „როიტერი“ თვლის, რომ მექსიკელმა ფეხბურთელმა კვატემოკ ბლანკომ თავისი ნაკრების კორეელებთან 3:1 გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშა, მაგრამ უფრო მთავარი ისაა, რომ მან მსოფლიო ფეხბურთში ახალი ფინტი დანერგა.

25 წლის თავდამსხმელმა მოიგდო ბურთი ფეხებს შორის, ახტა და ორი მეტოქის მიერ შექმნილ შლაგბაუმს გადასცდა.

ამრიგად, აცხადებს სააგენტო, 70-იან წლებში შემოღებულ „კრუიფის ბრუნსა და 50-იანი წლების „პუშკაშის ფინტს“ ახალი ილეთი, „ბლანკოს ნახტომი“ დაემატა.

„40 წელიწადია ფეხბურთს ვუყურებ, ათასობით თამაში მაქვს ნანახი, მაგრამ მსგავსი ილეთი არსად შემიმჩნევია, თან არათუ მსოფლიოს პირველობაზე, არამედ ნებისმიერ საფეხურზე“ — განაცხადა ბრიტანელმა ტელეკომენტატორმა მარტინ ტეილორმა.

ბლანკომ ახალი ფინტი მსოფლიოს ლიონის სტადიონზე შესთავაზა და გულშემატკივრის დიდი მოწონება დაიმსახურა.

სხვათა შორის, ბლანკომ ჯერ კიდევ თამაშის წინ, მოთელვაზე მიიპყრო მაყურებლის ყურადღება, მაგრამ მაშინ ამის მიზეზი ბზინვარე თეთრი ბუცები გახლდათ.

ბლანკო მექსიკურ კლუბ „ნეკაქსაში“ გამოდის, სადაც ადგილობრივი ქომაგები უკვე მიაჩვია ათასგვარ ტრიუკებს. სამშობლოში ბლანკოს ხალხის მთავარი გამრთობის სახელი აქვს დაგდებული.

ახლა ბლანკოს ფინტები უკვე მსოფლიოს ახალისებს. მან ჯამბაზური პოპულარობით საკუთარ გოლკიპერს, ხორხე კამპოსსაც კი გადააჭარბა.

ოჰ, ეს იუგოსლავია

გუშინ ფიფამ განაცხადა მიუხედავად იმისა, რომ იუგოსლავიამ კოსოვოში ალბანელებს შეიარაღებული რბევა მოუწყო, მისი ნაკრების წინააღმდეგ სანქციების შემოღებას არ ვაპირებთ.

„ჩვენ სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფთაგან უამრავი წერილი მივიღეთ. ისინი იუგოსლავიის წინააღმდეგ ზომების მიღებას გვთხოვენ“ — განაცხადა ფიფას პრესატაშემ კით კუპერმა — „მსურს მოგახსენოთ, რომ ფიფას პოლიტიკური გეზი გაეროს მორჩილებაა. იუგოსლავიამ სპორტულ შეჯიბრებაში გაიკაფა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისკენ ვზა და სანამ გტეროსგან შესაბამის მითითებებს არ მივიღებთ, პოზიციის გამოხატვა არ მოგვეთხოვება“.

გუშინ, გერმანულ პრესაში გამოქვეყნებული იყო ამ ქვეყნის პარლამენტართა მოთხოვნები იუგოსლავიის ნაკრების მსოფლიო პირველობიდან გაძევების შესახებ.

შეგახსენებთ, რომ პოლიტიკის გამო იუგოსლავიური ფეხბურთი ერთხელ უკვე დაისაჯა. ეს 1992 წელს მოხდა, როდესაც ევროპის ჩემპიონატიდან მოხსნეს. იმჟამად ამ ქვეყანას ბოსნიასთან ჰქონდა კონფლიქტი. მაშინ მის მაგივრად შეჯიბრებაზე დანია დაუშვეს და იგი ჩემპიონი გახდა.

REUTERS ბარსელონიდან

ინგლისაღი ფანემი სეუში ღუდის თუ ნავთის მეთოლით თავიანთთვის ჩვეული შავი საქმის კეთემას მეუდგნენ — ჩაამსხვრიეს ვიტრინემი, გააცარეს მარხელი, გუშინ კი ინლისის ნაკრემის მატჩისწინა დღეს მეტიქე ტუნისის დროშემიც აამრიალეს

ინგლისელი ფანები ჩვეულ ანპლუაში არიან

ბარიზული ჟურ-მართალი

FRANCE 98 იამაიკის ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე ამ გუნდის დასაზვერად შეპარული ორი ხორვატი დამკვირვებელი ამხელეს. იამაიკისა და ხორვატიის გუნდებმა ერომანეთში გუშინ ითამაშეს. მანამდე ექსიუგოსლავიელების დამრიგებელ ბლაჟევიჩს თურმე მეტოქის მოთამაშეების მზადყოფნის შემოწმება სურდა. „რეგი ბოიზების“ ბანაკში სწორედ ამ მიზნით გაგზავნა თავისი თანაშემწეები. იამაიკელების უხეში საქციელით აღშფოთებულმა ხორვატებმა ფიფას მიმართეს, აქაოდა, ბობ მარლის თანამემამულეებს წესით და რიგით დადგენილი ღია საწვრთნელი ვარჯიში უნდა ჩაეტარებინათ და ეს რომ არ შეასრულეს, ჩვენც იძულებული გავხდით, მათი ვარჯიში სხვა ხერხების გამოყენებით გვეხილაო. ფიფამ ევროპელთა მიმართვა ყურად არ იდო, რადგან იამაიკელებს ღია ვარჯიში თურმე ერთი დღით ადრე ჩაეტარებინათ.

FRANCE 98 შაბათს მარსელში რამდენიმე ასეულ ინგლისელ ფანსა და პოლიციას შორის გრანდიოზული შეტაკება მოხდა. მასობრივ არეულობებში ის ბრიტანელი გულშემატკივრები მოხვდნენ, რომლებიც დღეს ინგლისი — ტუნისის მატჩის მოლოდინში ქალაქის ქუჩებში დასეირნობდნენ და მომავალი შეხვედრის წინ საყვარელი გუნდის მხარდამჭერი შეძახილების რეპეტიციას გადიოდნენ. შეტაკება კი იმ ავტოსაგზაო შემთხვევას გამოუწვევია, რომლის მიზეზიც ერთ-ერთი ინგლისელი ფანი გახლდათ.

FRANCE 98 ჰოლანდია — ბელგიის მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე სენ დენის გარეუბანში სტადიონის მახლობლად უმსგავსო საქციელისთვის ჩვიდმეტი ჰოლანდიელი გულშემატკივარი დააკავეს. პოლიციის განცხადებით, ისინი სხვადასხვა მცირე დანაშაულში ამხილეს, მაგრამ კანონის დარღვევა იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ დაკავებულთა მიმართ რაიმე სერიოზული განაჩენს ვერ გამოიტანენ. აი ხუთ ფანს, შესაძლოა, ფულადი ჯარიმის გადახდა მოუხდეს.

FRANCE 98 შფოთისთავი ინგლისელი ფანები ჩვეულ ანპლუაში არიან. კვირას მათ მარსელის ერთ-ერთ უბან ოლდ პორტში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს ლუდის ბოთლებისა და თუნუქის ქილების ნამდვილი წვიმა დაატეხეს. ხულიგანთა მცირე ჯგუფების ასაყვანად პოლიციამ ძალები გამოიყენა და ჭკვიანმა ცხოველებმაც კარგა გვარიანად დააშინეს ურჩი გულშემატკივრები. პოლიციის მისვლიდან დაახლოებით ერთ საათში „ოლდ პორტის“ მოედანზე აღარავინ იყო. იქაურობას მხოლოდ გონებისდაკარგვამდე გალეშილი თითო-ოროლა ფანის სამღერის ხმა ეფინებოდა.

შირაკმა თქვა, მოგებაა კარგიაო

საუდელ არაბთა ლიდერები მთლად კარგ გუნებაზე ვერ იყვნენ. აი, საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი კი გახარებული ბრძანდებოდა.

მიზეზი მსოფლიოს პირველობაზე მათი გუნდების გამოსვლა გახლდათ.

პრინცი, სულთან ბინ ფაჰდ ბინ აბდ ალ აზიზი, მეფე ფაჰდის ვაჟი, რომელიც საფრანგეთში ნაკრების გუნდის უფროსის მოადგილის რანგშია ჩასული, ამბობს, რომ ფეხბურთელებმა დანიასთან შეხვედრაში ვერ ითამაშეს ისე, როგორც მათგან ითხოვდნენ და 0:1 წააგეს.

„მიზეზი ძალიან პროფესიულია და მათზე მწვრთნელს დაველაპარაკები“ — თქვა მან.

შირაკი, თავის მხრივ, ბედნიერი გახლდათ საფრანგეთის გუნდმა სამხრეთ აფრიკას 3:0 რომ მოუგო. თამაშის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე შირაკი და სამხრეთ აფრიკის ვიცე-პრეზიდენტი თაბო მბეკი ელისეს სასახლის შესასვლელთან, ჟურნალისტებს მოახლოებული შეხვედრის შესახებ ესაუბრებოდნენ.

„მე და პრეზიდენტმა ვთქვით, დაე უძლიერესმა გაიმარჯვოსო“ — ბრძანა საზიზღრად დიპლომატიური ფრაზა მბეკმა.

შირაკმა მატჩის შემდეგ თავის მოთამაშეებს წერილი მისწერა: „ეს გამარჯვება თქვენ საუდის არაბეთთან მატჩის წინ საუცხოო მდგომარეობაში გაყენებთ“ — განუმარტა პრეზიდენტმა ფეხბურთელებს.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში — კვირაში შვიდჯერ

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ილია ბაბუნაშვილი, ვახტანგ ბზიკაძე

ფეხბურთის განყოფილება: ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე

სხვა სახეობათა განყოფილება: გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე

ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მია აბზიანიძე, ნთელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი: ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29